ახალი გაზეთლება

2014 წელი, 19-25 ივნისი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№23 (657) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

სკოლებში სამედიცინო კაბინეტები აღდგება

გვერდი 7

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

რუბრიკის სტუმარია ლაშა ნავერიანი, პრალის საბუნებისმეტყველო უნივერსიტეტის სტუდენტი

„ძალიან ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ უცხოეთში სწავლა და ცხოვრება ადვილია, სინამდვილეში ბევრ სირთულეებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ამ სირთულეების დაძლევის შემდეგ ხვდები, რომ სრულიად დამოუკიდებელი ხარ და შენი თავი შენ გეკუთვნის. ყველა სტუდენტს ვურჩევ, ნუ შეგეშინდებათ სიახლეების, პირიქით, ყოველ წუთს მზად იყავით, მიიღოთ სიახლე, მისცეთ მას სწორი ინტერპრეტაცია, რადგან ეს მოგცემთ ბიძგს განვითარებისკენ და პროგრესისკენ. სტუდენტობის ყოველი დღე უნიკალური და განუმეორებელია.“

გვერდი 4

წარმოსახვითი ტელეხიდი – გამოთხოვება მეოთხე კლასთან

გვერდი 5

ინტელექტუალური ვიქტორინა „წაიკითხე, უპასუხე და დასვი კითხვა“ გრძელდება. წარმოგიდგენთ საკონკურსო კითხვებზე პასუხებს, იხ. გვერდი 3

იუბილე

სკოლა „პოლუსი“ 10 წლისაა

მაკა ყიფიანი

13 მაისს, კერძო მრავალპროფილიანმა საშუალო სკოლა „პოლუსმა“ 10 წლის იუბილე იზეიმა. 2003-2004 სასწავლო წლის 1 სექტემბერს აქ პირველად დაირეკა სკოლის ზარი, მას შემდეგ სკოლა წარმატებულ საქმიანობას ეწევა. აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ნათელი და თვალსაჩინოებებით გამდიდრებული საკლასო ოთახები, კაბინეტ-ლაბორატორიები, მდიდარი, მუდმივად განახლებადი ბიბლიოთეკა, საკონფერენციო და სპორტული დარბაზები, ორი კომპიუტერული კაბინეტი, ბუფეტი და ავტონომიური გათბობის სისტემა. სკოლა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური, გამოცდილი მასწავლებლებით, მოსწავლეებს ემსახურება ფსიქოლოგი და პედიატრი. მოსწავლეთა უსაფრთხოებას სკოლის მანდატურები უზრუნველყოფენ. სკოლაში დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროა შექმნილი.

საზეიმო ღონისძიებაში, რომელიც სააქტო დარბაზში გაიმართა, თითქმის ყველა საფეხურის მოსწავლე მონაწილეობდა. სკოლაში მოქმედი თეატრალური და ქართული ხალხური ცეკვების სტუდიის, სიმღერისა და ლიტერატურის წრის მოსწავლეებმა მაქსიმალურად წარმოაჩინეს საკუთარი შესაძლებლობები. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ: **ეკატერინე მამაიაშვილი** – დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში და **ირინა შიუკაშვილი** – ხელოვნების ისტორიისა და მეტყველების კულტურის მასწავლებელი.

მაია რცხილაძე, კერძო სკოლა „პოლუსის“ დირექტორი: *2003 წლის 1 სექტემბერი უბედნიერესი დღე იყო. ამ შენობის კედლები ყრიამუღით აივსო პირველი პირველკლასელებით, ასე დაიწყო სკოლის ცხოვრება და წარმატებით გრძელდება დღესაც. სკოლის დაფუძნების იდეა თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დამაარსებელს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ* ***დავით ჯანგულაშვილს*** *ეკუთვნის. დღეს სკოლაში განათლების სამივე საფეხურია: დაწყებითი, საბაზო და საშუალო. 240-მდე მოსწავლეს 32 პედაგოგი ასწავლის. ტრადიციული განათლებისა და სწავლების ინოვაციური მეთოდების შერწყმამ თავისი შედეგი გამოიღო, რაც ხარისხობრივად ყოველ სასწავლო წელს წარჩინებული მოსწავლეებისა და მედალოსნების მატებით გამოიხატება. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2011 წელი, როდესაც სკოლამ წარმატებით გაიარა ავტორიზაცია. პედაგოგიურმა კოლექტივმა და ადმინისტრაციამ დაკისრებულ დავალებას წარმატებით გაართვეს თავი, რაშიც მორალური და მატერიალური მხარდაჭერა ბატონმა დავით ჯანგულაშვილმა გაგვიწია, რისთვისაც მას კიდევ ერთხელ ვუხდით მადლობას.*

ირინა შიუკაშვილი, ღონისძიების წამყვანი, ხელოვნების ისტორიისა და მეტყველების კულტურის მასწავლებელი: *დღევანდელი დღე მნიშვნელოვანი და სასიხარულოა თითოეული ჩვენგანისთვის. ღონისძიებაში თითქმის ყველა კლასის მოსწავლე მონაწილეობს. ქორეოგრაფიული და თეატრალური სტუდიის მოსწავლეებმა კიდევ უფრო გაალამაზეს დღევანდელი ზეიმი. შევეცადეთ, შეგვეჯამებინა ჩვენი ათწლიანი საქმიანობა. სკოლა აქტიური სასწავლო და სააღმზრდელო პროცესით გამოირჩევა. მისი წარმატება თითოეული პედაგოგის დამსახურებაა. ჩვენ ვამაყობთ მათი დაუღალავი, მოტივირებული შრომით. დიდი მადლობა სკოლის დამფუძნებელს, ბატონ დავითს, სკოლის დირექტორს, ქალბატონ* ***მაია რცხილაძეს***, *ხარისხის მართვის სამსახურის უფროსს* ***ლია გოჩაშვილს***, *დირექტორის მოადგილეებს: სასწავლო დარგში –* ***მარინა ბერძენიშვილს***, *აღმზრდელობით დარგში –* ***ეკატერინე მამაიაშვილს***.

კონკურსი

კონკურსის „ტრადიციული ხელსაქმე და ხელოსნობა“ გამარჯვებულები გამოვლინდნენ

7 ივნისს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, სასკოლო კონკურსის – „ტრადიციული ხელსაქმე და ხელოსნობა“ – გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართა.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების გამოვლენის, დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოს ორასამდე სკოლის მოსწავლე მონაწილეობდა სასკოლო კონკურსში – „ტრადიციული ხელსაქმე და ხელოსნობა“. გამოვლინდა 31 სკოლის 45 გამარჯვებული იდეა, 57 სკოლის მონაწილეებს და მათ ხელმძღვანელებს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგის“ წოდება მიენიჭა.

უნიკალური ნიმუშების გარდა, წელს პირველად, გამოვლინდა მივიწყების პირას მყოფი ქართული ტრადიციული ხელსაქმისა და ხელოსნობის ტექნოლოგიების იშვიათი „საფრთხის ქვეშ მყოფი ელემენტები“.

კონკურსის ფარგლებში, გამოვლინდა კიდევ ერთი სიახლე. ექსპერტების გადაწყვეტილებით, „ცოცხალი საუნჯის“ სტატუსი მიენიჭა ახალციხის რაიონის სოფელ მუსხის უხუცეს მკვიდრს, ქალბატონ მარიამ ჟუჟუნაძეს, რომელიც განსაკუთრებული უნარ-ჩვევებით გამოირჩევა და ახალგაზრდა თაობას ძაფის დამუშავების, ღებვისა და ხალიჩაფარდაგების ქსოვის ტრადიციული ოსტატობის საიდუმლოს გადასცემს.

გამარჯვებული მოსწავლეების ნამუშევრების მიხედვით დაიბეჭდა ილუსტრირებული ბროშურა „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“.

კონკურსი, რომელიც ხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების მხარდაჭერით, გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციის თანამონაწილეობით, უკვე მეორედ გაიმართა და ტრადიციულ, ყოველწლიურ ღონისძიებად ჩამოყალიბდა. კონკურსი ხელს უწყობს სკოლის მოსწავლეების ინტელექტუალური რესურსის ჩართულობას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის: 2011 წლიდან საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან ერთად, ახორციელებს UNESCO-ს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის“ კონვენციის იმპლემენტაციის პროცესს, რომელიც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ღონისძიებებში ახალგაზრდობის ჩართულობასა და ინფორმირებულობას გულისხმობს.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ დაასრულა მუშაობა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კანონპროექტზე, რომელიც შემდგომი რეაგირებისთვის და მისი მიღების საჭირო პროცედურების განსახორციელებლად გადაგზავნილია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში.

იურისტის კონსულტაცია

რა შემთხვევაში შეიძლება შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა?

შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. თუ შრომითი ხელშეკრულება არ ითვალისწინებს რომელიმე არსებით პირობას, ასეთი პირობის განსაზღვრა შესაძლებელია დასაქმებულის თანხმობით. შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა, რომელიც განპირობებულია კანონმდებლობის ცვლილებით, არ საჭიროებს დასაქმებულის თანხმობას.

შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლად არ მიიჩნევა:

ა) დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის მითითებული სამუშაოს შესრულების ადგილის შეცვლა, თუ საზოგადოდ ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალებებით დასაქმებულის საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაოს შესრულების ახალ ადგილამდე მისვლა და დაბრუნება მოითხოვს არაუმეტეს 3 საათისა დღეში, ამასთანავე, არ იწვევს არათანაბარზომიერ ხარჯებს;

ბ) სამუშაოს დაწყების ან დამთავრების დროის ცვლილება არაუმეტეს 90 წუთით.

ზემოთ მითითებული ორივე გარემოების ერთდროულად შეცვლა მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლად.

რამდენი ხნის განმავლობაში არის შესაძლებელი დასაქმებული იმყოფებოდეს მივლინებაში?

მივლენებაში ყოფნის პერიოდს განსაზღვრავენ შრომითი ურთიერთობის მხარეები. თუ მივლინების პერიოდი აღემატება 45 კალენდარულ დღეს, ეს მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლად, თუმცა მხარეები უფლებამოსილები არიან, აღნიშნული საკითხი შრომითი ხელშეკრულებით სხვაგვარად გადაწყვიტონ.

რამდენ საათს არ უნდა აღემატებოდეს დასაქმებულის კვირეული სამუშაო დატვირთვა?

დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ასრულებს სამუშაოს, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს, ხოლო სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოში, სადაც წარმოების/შრომითი პროცესი ითვალისწინებს 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს – კვირაში 48 საათს. სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. სამუშაო დროში არ ითვლება შესვენების დრო და დასვენების დრო.

16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 36 საათს.

14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 24 საათს.

ნატა ჩანადირი
საქართველოს პედაგოგთა
და მეცნიერთა თავისუფალი
პროფკავშირის იურისტი

ინტელექტუალური ვიქტორინა „წაიკითხე, უპასუხე და დასვი კითხვა“

მოგესალმებით ძვირფასო მკითხველებო

საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია მოხარულია, რომ ჩვენს მეგობრებს შორის არიან კარგი მკითხველები.

მარკ ტვენის „ჰეკლბერ ფინის თავგადასავალი“ ბევრმა თქვენგანმა წაიკითხა. ზოგმა სწორი პასუხი გაგვცა, ზოგს მცირეოდენი შეცდომა ჰქონდა, მაგრამ ეგ არაფერია, მომავლში კიდევ ბევრი და საინტერესო წიგნიდან გვექნება კითხვები.

მართალია, აქტივობა იყო, მაგრამ ზოგიერთმა მკითხველმა პასუხების გამოგზავნისას არ მიუთითა, რომელ სკოლაში სწავლობს (მათ შორის რამდენიმეს სწორი პასუხები ჰქონდა). ის, რომ ვიქტორინის მონაწილე სკოლის მოსწავლე უნდა იყოს, აუცილებელი პირობაა.

გთხოვთ, მომავალში, პასუხების გამოგზავნისას სკოლისა და კლასის მითითება არ დაგავიწყდეთ.

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც გვინდა ყურადღება გავამახვილოთ, სამწუხაროდ, „რა? სად? როდის?“ ფორმატის კითხვების სიმცირე იგრძნობა. შემოსულთაგან კი, ვერ შევარჩიეთ ისეთები, რომლებსაც ამ ეტაპზე გამოვაქვეყნებდით.

იმედი გვაქვს, მომავალში ამ მხრივაც ყველაფერი კარგად იქნება.

ახლა, რაც ახალ წიგნსა და მის გარშემო დასასმელ კითხვებს შეეხება – გამომცემლობა „ელფმა“ შემოგვთავაზა **ალექსანდრე დიუმას „კავკასია“**. დაგვეთანხმებით, შესანიშნავი მწერლის შესანიშნავი ქვეყნის შესახებ დაწერილი ნაწარმოებია.

საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნულ ფედერაციას მიგვაჩნია, რომ კარგი შემოთავაზებაა. თუ რატომ შემოგვთავაზეს „კავკასია“, ამას თავად გვეტყვიან:

ელფის გამომცემლობამ, მოსწავლეებისათვის შესათავაზებელ წიგნზე მსჯელობისას, არჩევანი ალექსანდრე დიუმას „კავკასიაზე“ შეაჩერა. ნაწარმოების მთავარი ღირებულება ის გახლავთ, რომ ძალიან საინტერესოა ისეთი დიდი კლასიკოსის თვალით დანახული და აღწერილი საქართველო, როგორიც დიუმაა.

მწერალი ოცი წლის განმავლობაში ესწრაფოდა კავკასიის ნახვას. როგორც კი რუსეთის ხელისუფლებისგან ნებართვა მიიღო (1857), გახარებული ორ დღეში წამოსასვლელად მზად იყო. ალექსანდრე დიუმა, რომელმაც ამ წიგნით კავკასია მსოფლიოს გააცნო, უამრავ საინტერესო ცნობას გვაწვდის ამ რეგიონის იმდროინდელ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაზე, რუსეთის ფაქტორზე კავკასიის ქვეყნებში, კავკასიის ხალხების ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებზე... ჩვენ კი, კითხვისას, ვაფასებთ მის შეფასებულს – ვეთანხმებით ან არ ვეთანხმებით და ასე მივდივართ წიგნის დასასრულამდე: ვმსჯელობთ, ვაკრიტიკებთ, ვადარებთ სხვაგან წაკითხულს... ამასობაში კი ძვირფას ინფორმაციას ვიღებთ, რომელიც დღევანდელობაზე დაგვაფიქრებს...

უცხოელის თვალით დანახული საქართველო, აუცილებლად, ყველა ქართველმა სკოლის ასაკშივე უნდა დაინახოს. სწორედ ამიტომ გირჩევთ ამ ნაწარმოების წაკითხვას.

*პატივისცემით, **თამარ დუღაშვილი***
ელფის გამომცემლობის საზოგადოებასთან
ურთიერთობის მენეჯერი

მაშ ასე, ვიქტორინის მომდევნო წიგნი – **ალექსანდრე დიუმას „კავკასია“**.

საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია წარმატებას გისურვებთ და რამდენიმე სიტყვით შეგახსენებთ ვიქტორინის წესებს: წაიკითხეთ ნაწარმოები და, დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, დავდებთ შეკითხვებს უკვე წაკითხული ნაწარმოებიდან.

გაცემული პასუხები და „რა? სად? როდის?“ ფორმატის კითხვები გადააგზავნეთ შემდეგ მისამართზე:

viqtorina.sssef@gmail.com

დამატებითი კითხვებით მოგვმართეთ facebook-ის გვერდზე: საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია. სადაც ასევე განთავსდება ვიქტორინის შესახებ სრული ინფორმაცია.

P.S. როგორც გავარკვიეთ, კითხვების გადმომგზავნთაგან რამდენიმე სკოლადამთავრებულიც იყო. ეს ძალიან კარგია და, შესაძლებელია, მომავალში ვიქტორინა ჩვენი უფროსი მეგობრებისათვისაც გავაკეთოთ, მაგრამ ამ ეტაპზე მხოლოდ სკოლის მოსწავლეებისთვისაა.

საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია წარმატებას გისურვებთ და შეგახსენებთ, რომ ვიქტორინას ფარგლებში ჩვენი პარტნიორები არიან:

- გაზეთი „ახალი განათლება“, რედაქტორი **მარიკა ჩიქოვანი**;
- გამომცემლობა „ელფი“ და გამომცემლობის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი **თამარ დუღაშვილი**;
- საქართველოს ოლიმპიელთა კლუბი „პრეზიდენტი“, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი **კახი კახიაშვილი**;
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი, მწერალი **გიორგი კეკელიძე**;
- სატელევიზიო თამაში **„რა? სად? როდის?“**.

გამარჯვებული მონაწილეებისათის საჩუქრები დააწესეს: გამომცემლობამ **„ელფი“** და **„საქართველოს ოლიმპიელთა კლუბმა“**

წარმოგიდგენთ საკონკურსო კითხვებზე პასუხებს

1. რამდენი ადამიანი შეხვედრია ჰეკლბერს, რომლებიც შესაძლოა არ იტყუებოდნენ? (დაასახელეთ რაოდენობა და ვინაობა)

პასუხი – დეიდა პოლი, ქვრივი და მერი.

2. ნაწარმოების მეორე თავში აღწერილია სცენა, სადაც ჰეკლბერის მიმართ მეგობრები ახორციელებდნენ დისკრიმინაციის ფაქტს. საქმე შეეხება ყაჩაღთა ბანდაში მის გაწევრიანებას.

რა სახის დისკრიმინაციაზეა საუბარი?

პასუხი – ბანდაში არ იღებდნენ, რადგან მშობლები არ ჰყავდა და ღალატის შემთხვევაში ვერავის მოუკლავდნენ.

3. დაასრულეთ ფრაგმენტები ჰეკისა და შემთხვევითი მასპინძელი ქალის დიალოგიდან:

ქალი – ერთი ეს მითხარი, მწოლარე ძროხა წინა ფეხებით დგება ზეზე თუ უკანა ფეხებით. ჩქარა მიპასუხე!

ჰეკი – უკანა ფეხებით.

ქალი – ცხენი?

ჰეკი – წინა ფეხებით.

ქალი – ხავსი ხის რომელ მხარეზე იზრდება?

ჰეკი – ჩრდილოეთის მხარეზე.

ქალი – თუ ფერდობზე თხუთმეტი ძროხა ძოვს, რამდენს ექნება თავი მიბრუნებული ერთსა და იმავე მხარეს?

ჰეკი – თხუთმეტივეს.

4. რამდენ შტატს გაივლის მისისიპი, რომელზეც ჰეკლბერ ფინი მოგზაურობდა? დაასახელეთ რიცხვი და ჩამოთვალეთ შტატები.

პასუხი – მისისიპი გაივლის 10 შტატს:
მინესოტა;
უისკონსი;
აიოვა;
ილინოისი;
მისური
კენტუკი;
ტენესი;
არკანზასი;
მისისიპი;
ლუიზიანა.

5. მეჩვიდმეტე თავში ახლად გაცნობილი ბაკი გრენჯერფორდი ეკითხება ჰეკს: „მოსე სად იყო, როდესაც სანთელი ჩაქრა?“

სად იყო მოსე ბაკის გამოცანის მიხედვით?

პასუხი – სიბნელეში.

6. რა წიგნზე დაიფიცა ჰეკლბერ ფინმა, როდესაც მას „კურდღლისტუჩად“ წოდებულმა ჯოანამ სიმართლის დასამტკიცებლად დაფიცება მოსთხოვა?

პასუხი – ლექსიკონზე.

7. სად დამალა ჰეკლბერ ფინმა „მეფისა“ და „ჰერცოგის“ მიერ მერი ჯეინისა და მისი დისათვის მოპარული ფული?

პასუხი – კუბოში.

8. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები: ერთ-ერთ თავში ჰეკლბერ ფინი ჩაფიქრდა: მართალი ხარ თუ მტყუანი, ნამუსი ამაში ვერ ერკვევა და ყოველთვის გაწუხებს. მე რომ ისეთი ძაღლი მყოლოდა, რომელიც ადამიანის ნამუსის მაგვარად ვერაფერში ვერ გაერკვეოდა, მოვწამლავდი. ადამიანის შიგნეულობაში ყველაზე დიდი ადგილი ნამუსს უჭირავს, მაგრამ არაფრის მაქნისი კი არ არის. ტომ სოიერიც ამავე აზრისაა.

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

სტუდენტობის ყოველი დღე უნიკალური და განუმეორებელია

რუბრიკის სტუმარია
ლაშა ნავერიანი, პრაღის საბუნებისმეტყველო უნივერსიტეტის სტუდენტი

– ლაშა, განათლების მიღება საზღვარგარეთ ქართველი ახალგაზრდებისთვის სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც სურს თავის პერსონალურ რეზიუმეში „ოქროს ასოებით“ შეავსოს განათლების გრაფა, არჩევანს უცხოეთზე აკეთებს. მიამბე, რა გზა გაიარე საქართველოდან ჩეხეთის რესპუბლიკამდე და რატომ აირჩიე განათლების მისაღებად მაინცდამაინც პრაღა?

– ძალიან კარგია, რომ ყოველწლიურად მეტ ქართველ სტუდენტს უჩნდება საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების სურვილი. უცხოეთის გამოცდილების მიღება აუცილებელია სტუდენტის განვითარებისთვის და პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის. დარწმუნებული ვიყავი, ადრე თუ გვიან, უცხოეთში გავაგრძელებდი სწავლას, მაგრამ რა ეტაპზე, რომელ ქვეყანაში ან უნივერსიტეტში, წარმოდგენა არ მქონდა. უბრალოდ, ყოველ ეტაპზე ვაკეთებდი იმას, რაც უნდა მეკეთებინა და ამან მომიყვანა დღემდე.

მოკლედ გაგაცნობთ ჩემ განვლილ გზას. მეათე კლასამდე ვსწავლობდი თბილისის №77 საჯარო სკოლაში, შემდეგ გადავედი და დავამთავრე თბილისის №58 საჯარო სკოლა. ჩავაბარე ეროვნული გამოცდები და სახელმწიფო გრანტით (70%) ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკის ფაკულტეტზე. პირველი კურსის პირველ სემესტრში დავიწყე ინფორმაციის მოძიება გაცვლით პროგრამებზე. იმ დროისთვის მხოლოდ ერთი პროგრამა აღმოვაჩინე – ჩეხური ენის შემსწავლელი ერთწლიანი კურსები ჩეხეთის რესპუბლიკაში და შევიტანე კიდეც საბუთები თბილისში ჩეხეთის საელჩოში. ჩემდა საბედნიეროდ, მომივიდა დადებითი პასუხი და პირველი კურსის დამთავრების შემდეგ გავემგზავრე ჩეხეთში ენის კურსებზე, რომელიც პატარა სტუდენტურ ქალაქში, პოდებრადში გავიარე. კურსების დამთავრების შემდეგ, გადავწყვიტე ჩეხეთში დარჩენა და სწავლის გაგრძელება. რამდენიმე უნივერსიტეტში გავაგზავნე აპლიკაცია. გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, ჩავირიცხე პრაღის საბუნებისმეტყველო უნივერსიტეტში, ეკონომიკის ფაკულტეტზე. დავამთავრე ბაკალავრიატი და ამჟამად მაგისტრატურაზე სწავლის გასაგრძელებლად ვემზადები. საქართველოში ყოფნის დროს ჩეხეთში სწავლის გაგრძელებას საერთოდ არ ვფიქრობდი, უბრალოდ, ვცადე და დანარჩენი უკვე თავისით მოხდა. ამიტომ მინდა ყველა სტუდენტს ვურჩიო, ნუ იქნებით ნურავისზე და ნურაფერზე დამოკიდებული, მოიძიეთ ინფორმაცია გაცვლით პროგრამებზე და მიიღეთ მონაწილეობა. საბედნიეროდ, დღეს ძალიან ბევრი საინტერესო გაცვლითი პროგრამაა. მთავარია სწორი მიზნის დასახვა და მიზნისკენ ეტაპობრივად სვლა, წარმატება კი აუცილებლად მოვა.

– მიამბე პრაღის საბუნებისმეტყველო უნივერსიტეტის ისტორია, რამდენწლიანია და რა ღირს სწავლა? სტიპენდიის შენარჩუნება რთულია?

– პრაღის საბუნებისმეტყველო უნივერსიტეტი 1952 წელს დაარსდა და დღეს, სტუდენტების რაოდენობით, ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი უნივერსიტეტია, ექვსი ფაკულტეტისა და ერთი დამოუკიდებელი კათედრისგან შედგება. როგორც სხვა სახელმწიფო უნივერსიტეტებში, აქაც ჩეხურად სწავლა უფასოა. ბაკალავრიატზე გათვალისწინებულია სამი წელი, ხოლო მაგისტრატურაზე – ორი. რაც შეეხება გრანტს, სტიპენდიის შესანარჩუნებლად აუცილებელი მოთხოვნაა სწავლის დამთავრება დათქმულ ვადებში, ანუ პროგრამას აქვს სახე 1+3+2 (ერთი წელი ენის კურსები, სამი წელი ბაკალავრიატი, ორი წელი მაგისტრატურა). თუ სუბიექტური მიზეზების გამო, სტუდენტი ვერ შეძლებს ბაკალავრიატის სამ წელში დამთავრებას და დამატებითი სემესტრი დასჭირდება, არც დამატებითი სემესტრი დაუფინანსდება და არც მაგისტრატურაზე გაუგრძელდება სტიპენდია.

– რა პროფესიას ეუფლები, რომელ კურსზე ხარ და რამ განაპირობა პროფესიის არჩევანი?

– ეკონომიკა ძალიან დიდი, საინტერესო და მნიშვნელოვანი სფეროა, ყოველთვის მაინტერესებდა ამ სფეროს შესწავლა. ამიტომ, როგორც საქართველოში ცხოვრების დროს, ისე ჩეხეთში ჩამოსვლის პირველივე დღიდან ვიცოდი, რომ ეკონომიკის გარდა სხვა არცერთ ფაკულტეტზე არ ჩავაბარებდი. ეკონომიკის ფაკულტეტი, რომელიც მე დავამთარე, ერთ-ერთი საუკეთესოა პრაღაში. ცოდნის დონით ცოტათი ჩამოუვარდება პრაღის ეკონომიკის სკოლას, მაგრამ მისგან განსხვავებით აქვს ძალიან ბევრი გაცვლითი პროგრამა ევროპის, აზიისა და ამერიკის ქვეყნებში.

– სტიპენდიები და გრანტები უცხოელი სტუდენტებისთვის – ზოგიერთ ქვეყანაში სტიპენდიები გამოიყოფა საკონკურსო საწყისებზე ნიჭიერი სტუდენტებისთვის, უშუალოდ სასწავლო დაწესებულების მიერ. შენ შემთხვევაში როგორ არის? რა პრივილეგიებით სარგებლობენ წარჩინებული სტუდენტები, არის თუ არა მათთვის რაიმე შეღავათები?

– წარჩინებული სტუდენტებისთვის თითქმის ყველა უნივერსიტეტს აქვს შიდა სტიპენდიები. ასევე გამოიყოფა მცირე სტიპენდია გარეუბნებიდან ჩამოსულთათვის, რომლებიც უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობენ.

სხვა განსაკუთრებული პრივილეგიებით არავინ სარგებლობს, არც უცხოელი და არც ადგილობრივი სტუდენტი. თვითონ ის ფაქტი, რომ ახალგაზრდას აქვს სტუდენტის სტატუსი, უკვე ბევრ შეღავათსა და პრივილეგიას ნიშნავს. მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო ის, რომ სტუდენტები, რომლებსაც აქვთ სურვილი იყვნენ საუკეთესონი, მხოლოდ ლექციებით და სემინარებით არ კმაყოფილდებიან, ძირითადად, ჩართულები არიან სხვადასხვა საქმიანობებში: ერთიანდებიან სტუდენტურ ორგანიზაციებში და მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტებსა და კონფერენციებში, აწყობენ პრეზენტაციებს, მუშაობენ უფასოდ ან მცირე ანაზღაურებიან სამსახურში და ა.შ. ისინი, სტუდენტობის პერიოდიდანვე, თეორიულ ცოდნასთან ერთად, პრაქტიკულ გამოცდილებასაც იღებენ. ცოდნითა და აქტივობებით ღირსეულ ადგილს იმკვიდრებენ საზოგადოებაში. კარგი იქნება, თუ ქართველი სტუდენტები მიბაძავენ ევროპელ თანატოლებს და უფრო გააქტიურდებიან.

– რა შეგიძლია გვიამბო სასწავლო პროგრამებისა და ლექციების შესახებ. რამდენადაც ვიცი, ასეთ სასწავლებლებში ლექციების წასაკითხად ცნობილ ადამიანებს იწვევენ, ვინ არიან ისინი?

– როგორც აღვნიშნე, ძალიან რაციონალურად უდგებიან სტუდენტებს პრაღის უნივერსიტეტები, მაგალითად, ეკონომიკის ფაკულტეტებს ყოველწლიურად სტუმრობენ წარმატებული კომპანიების წარმომადგენლები, ატარებენ პრეზენტაციებს, აწვდიან ინფორმაციას სტაჟირებებზე და კომპანიის მიერ განხორციელებულ წარმატებულ პროექტებზე. რა თქმა უნდა, ასეთი აქტივობები სტუდენტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ხედავენ, რომ ყველაფერი მათზეა დამოკიდებული, თუ ბევრს იშრომებენ და დროს პროდუქტიულად გამოიყენებენ აუცილებლად მიაღწევენ წარმატებას ცხოვრებაში. კარგი იქნება, თუ მსგავსი პრეზენტაციები საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებშიც ჩატარდება.

– რა როლი უჭირავს პრაღაში საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებს?

– როგორც ყველა განვითარებულ ქვეყანაში, ჩეხეთშიც საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებს დიდი როლი უჭირავს სტუდენტურ ცხოვრებაში. ყველაზე მეტად უცხოელი სტუდენტები იყენებენ ბიბლიოთეკებს, ხშირად სჭირდებათ დამატებითი მასალა საგნის კარგად მოსამზადებლად. საბედნიეროდ, არასდროს არ გვქონია ბიბლიოთეკიდან წიგნის გამოტანის პრობლემა, ძირითად შემთხვევაში, წიგნის რამდენიმე ეგზემპლარი აქვთ, რომ შესაძლებელი იყოს მისი საჭირო ვადით გამოყენება. მართალია, ელექტრონულმა სივრცემ გარკვეულწილად წიგნი ჩაანაცვლა, მაგრამ გამოცდების წინა პერიოდში ბიბლიოთეკები სავსეა სტუდენტებით.

– როგორ ფიქრობ, რა უპირატესობა აქვს ევროპულ მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებს ქართულთან შედარებით?

– ევროპულ სასწავლებლებს ჩამოყალიბებული სასწავლო სისტემა აქვთ, რომელიც მაქსიმალურად მორგებულია სტუდენტზე, არ აძლევს მოდუნების შესაძლებლობას და მაქსიმალურად ავალდებულებს კონცენტრირებული იყოს სწავლაზე. უფრო მეტ აქცენტს აკეთებენ სტუდენტის ანალიტიკური აზროვნების უნარის ჩამოყალიბებაზე. ზოგადად, უნივერსიტეტებში ისეთი ატმოსფეროა შექმნილი, რომ გინდა-არ გინდა სწავლის მოტივაცია დღითი დღე გეზრდება. ყველა ცდილობს თავი გამოიჩინოს და კარგად ისწავლოს, აქედან გამომდინარე, ბუნებრივად გიჩნდება სურვილი, არ ჩამორჩე თანატოლებს და გახდე საუკეთესო.

– უცხოეთში, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის დაწესებულებაში რეგისტრაციის შედეგად, უცხოელ სტუდენტებს, სწავლის პირველივე წლიდან, უფლება აქვთ იმუშაონ ნახევარ განაკვეთზე. გაქვს თუ არა მუშაობის შესაძლებლობა სწავლის პარალელურად?

– ჩეხეთის კანონმდებლობით სტუდენტს აქვს ნახევარ განაკვეთზე მუშაობის უფლება. უმეტესობა, სწავლის პარარელურად, მუშაობს: რესტორნებში, წიგნის მაღაზიებში, სასტუმროებში, სავაჭრო ცენტრებში, ყველაზე კარგ შემთხვევაში – კომპანიებში. გარკვეული პერიოდის განმავლობაში მეც ვმუშაობდი სხვადასხვა ადგილას: კონსულტანტად, თარჯიმნად და ა.შ. სწავლასთან ერთად მუშაობა სტუდენტური ცხოვრების შემადგენელი ნაწილია.

– სად და როგორ ატარებ თავისუფალ დროს? მიამბე, როგორ ცხოვრობენ ჩეხი ახალგაზრდები, რა არის მათთვის პრიორიტეტული?

– ზოგადად, სტუდენტებისთვის პრაღაში ძალიან კარგი გარემოა შექმნილი. აქ ადვილია თვითრეალიზება და საკუთარი პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა. ეს იმიტომ, რომ საზოგადოება უწყობს ხელს სტუდენტს, რომ განვითარდეს. თვითონ ის ფაქტი, რომ სტუდენტი ხარ, უკვე ნიშნავს პრივილეგიას. სტუდენტები სარგებლობენ უამრავი ფასდაკლებით. მაგალითად, ტრანსპორტში, კაფეებში, რესტორნებში, კინოში, თეატრში, გალერეებში, მუზეუმებში და ა.შ. მეტი რა უნდა სტუდენტს, ჰქონდეს შანსი უფასოდ მიიღოს კვალიფიციური განათლება და თავისუფალი დრო საინტერესოდ გაატაროს.

რაც შემეხება მე, ისევე როგორც სხვები, თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად დავდივარ კინოში, გამოფენებზე, ფესტივალებზე. 2013 წლის თებერვალში, მეგობრებთან ერთად დავაარსეთ სტუდენტური ორგანიზაცია „ქართველ სტუდენტთა გაერთიანება ჩეხეთის რესპუბლიკაში“. მას შემდეგ ჩემი თავისუფალი დროის უმეტესი ნაწილი სხვადასხვა პროექტების მომზადებას მიაქვს. უკვე ჩავატარეთ რამდენიმე საინტერესო საღამო, გამოფენა და პრეზენტაცია საქართველოზე, ინტელექტუალური თამაში ქართველ სტუდენტებს შორის. იმდენად მომწონს ეს საქმიანობა, რომ მომავალშიც აუცილებლად გავაგრძელებ.

– პრაღა მსოფლიოს ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქადაა მიჩნეული. დროისა და კონტექსტის მიხედვით, ქალაქს რამდენიმე მეტსახელი აქვს. მათ შორის: „ოქროს ქალაქი“, „ქალაქთა დედა“, „ევროპის გული“... ლაშა, შენ რას დაარქმევდი და რა არის შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული, რაც ევროპამ მოგცა?

– ფრანც კაფკა ამბობდა: „პრაღა არასდროს დაგრთავს ნებას, რომ წახვიდე“. მეც ვიზიარებ ამ მოსაზრებას, რადგან პრაღა ძალიან შემიყვარდა და ჩემ ცხოვრებაში უკვე წარუშლელი კვალი დატოვა. ოთხ წელზე მეტია, აქ ვცხოვრობ და ძალიან შევეჩვიე, მისი ცხოვრების სტილს. პრაღაში ბევრი რამ ვისწავლე. პირველ რიგში, ვისწავლე დამოუკიდებელი ცხოვრება, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება და განსხვავებული მენტალიტეტის და კულტურის ადამიანებთან ურთიერთობა, მათი პატივისცემა. საკმარისია რამდენიმე ხნით გამოიცვალო გარემო, რომ სულ სხვა თვალით უყურებ სამყაროს. ჩემი აზრით, ყველა ახალგაზრდას უნდა ჰქონდეს სურვილი და შესაძლებლობა, უცხოეთში იმოგზაუროს, გაიგოს ახალი, გაეცნოს სხვა ქვეყნის კულტურასა და ისტორიას. დიდი ხანია, რაც ჩვენი, ქართველების, მსოფლმხედველობა გარკვეულ ჩარჩოებშია მოქცეული. საჭირო და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ამ ჩარჩოებს გასცდეს. პირველ რიგში, სტუდენტს უნდა ჰქონდეს ამის ამბიცია და მერე სხვას.

– როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი საქართველოში დასაქმებაში ითამაშებს თუ არა გადამწყვეტ როლს?

– ალბათ, გარკვეულწილად გადამწყვეტ როლს ითამაშებს და ეს ბუნებრივიცაა, რადგან დიპლომით ფასდება მიღებული ცოდნა. სტუდენტისთვის მთავარი მოტივატორი უნდა იყოს კვალიფიციური განათლების მიღება, მაშასადამე კარგი დიპლომი. განვითარებულ სამყაროში დღეს ისეთი ტენდენციაა, რომ მარტო უნივერსიტეტის დიპლომით საზოგადოებაში ადგილს ვერ დაიმკვიდრებ. წამყვანი კომპანიები და სახელმწიფო ორგანოები აღარ ანიჭებენ დიდ უპირატესობას ფურცელს, მეტი ყურადღება ექცევა მიღებულ გამოცდილებას და უნივერსიტეტის გარეთ შეძენილ უნარ-ჩვევებს. ამიტომ, ჩემი ძირითადი მიზანია, თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული გამოცდილებაც მივიღო.

– საერთაშორისო განათლების სამყაროში შესასვლელად შესაძლოა ახალგაზრდებს გზა ადვილად აერიოთ. სწორი არჩევანის გაკეთება, საჭირო გამოცდილებისა და ცოდნის გარეშე ძნელია. რას ურჩევ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი აქვთ.

– სანამ სტუდენტი გადაწყვეტს საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებას, მანამდე კარგად უნდა დაფიქრდეს და გააცნობიეროს, რომ სწავლის გამო, ბევრ რამეზე მოუწევს უარის თქმა, ბევრი რამის დათმობა, ბეჯითად შრომა და დროის პროდუქტიულად გამოყენება. ძალიან ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ უცხოეთში სწავლა და ცხოვრება ადვილია, სინამდვილეში ბევრ სირთულეებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ამ სირთულეების დაძლევის შემდეგ ხვდები, რომ სრულიად დამოუკიდებელი ხარ და შენი თავი შენ გეკუთვნის. იძენ ისეთ უნარ-ჩვევებს, რომლებსაც ცხოვრებაში აუცილებლად გამოიყენებ. ყველა სტუდენტს ვურჩევ, ნუ შეგეშინდებათ სიახლეების, პირიქით, ყოველ წუთს მზად იყავით, მიიღოთ სიახლე, მისცეთ მას სწორი ინტერპრეტაცია, რადგან ეს მოგცემთ ბიძგს განვითარებისკენ და პროგრესისკენ. სტუდენტობის ყოველი დღე უნიკალური და განუმეორებელია, სტუდენტი უნდა ცდილობდეს დრო არ დაკარგოს უმნიშვნელო რაღაცებზე, აზარტულ თამაშებზე, სერიალებსა და სხვა არაფრისმომცემ საქმიანობაზე. პირიქით, უნდა გაუფრთხილდეს და ეცადოს მაქსიმალურად პროდუქტიულად გამოიყენოს იგი.

– როცა საქართველოდან ასე შორს ხარ, რა გენატრება ყველაზე მეტად?

– კონკრეტულად ვერ ვიტყვი, მენატრება ყველაფერი ერთად – ჩემი ოჯახი, მეგობრები, ცა, მთა, ზღვა, ქართული სუფრა და სტუმართმოყვარეობა, მოკლედ ყველაფერი ქართული.

– დაბოლოს, როცა ადამიანი საზღვარგარეთ ცხოვრობს, ის ალბათ მეტს და ღრმად ფიქრობს სამშობლოზე. საზღვარგარეთ გატარებულ მცირე პერიოდშიც კი სხვანაირად აფასებს საკუთარ ღირებულებებს. როგორ ფიქრობ, მიგვიღებს ევროპა ისეთებს, როგორებიც ვართ, თუ ძალიან ბევრი რამის გადახედვა და გადაფასება მოგვიწევს?

– ეს საკითხი ძალიან განვრცობადია. უცხოელ მეგობრებთან ხშირად მიწევს ამ საკითხზე საუბარი. შევეცდები, მოკლედ ჩამოვაყალიბო ჩემი აზრი. ვფიქრობ, ჩვენ შეგვიძლია და გვაქვს დიდი შანსი გავხდეთ ევროპული ოჯახის ღირსეული წევრები, მაგრამ ამისათვის ბევრი შრომაა საჭირო, ასევე ბევრი რამის გადაფასება მოგვიწევს. პირველ რიგში, საქართველო, როგორც ღირსეული დემოკრატიული სახელმწიფო უნდა შედგეს, ამის შემდეგ შეიძლება ფიქრი ცივილურ დასავლეთზე.

ესაუბრა
მაკა ყიფშიანი

სასკოლო აქტივობა

გამოთხოვება მეოთხე კლასთან

ლალი თვალაბეიშვილი

მეოთხეკლასელთათვის სასწავლო წლის ბოლო ემოციურად მეთორმეტეკლასელებზე არანაკლებადაა დატვირთული – ისინი, ერთდროულად, ემშვიდობებიან პედაგოგს, რომელიც სკოლაში მოსვლის პირველი დღიდან მათ გვერდით იყო და ბავშვობას, რადგან დაწყებითიდან სწავლების უფრო მაღალ საფეხურზე გადადიან. ტრადიციულად, სკოლებში, ამ დროს გამოსაშვები ღონისძიებები იმართება. 12 ივნისს, თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში (დირექტორი – **ზაზა გრიგალაშვილი**) IV[3] კლასელებმა (დამრიგებელი – **ჯანა მერკვილაძე**) სასწავლო წლის დასრულება კონცერტით აღნიშნეს. პედაგოგებმა ორიგინალური ფორმატი შეარჩიეს – წარმოსახვითი ტელეხიდი, რომლის დახმარებითაც მოსწავლეები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების თანატოლებს უკავშირდებოდნენ. ინგლისელი, ფრანგი, ბრაზილიელი, უკრაინელი, ესპანელი, ამერიკელი, უნგრელი თუ სხვა ეროვნების ბავშვები საკუთარ ქვეყნებს ცეკვითა და სიმღერით წარმოადგენდნენ. პროგრამა საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანი იყო.

მსოფლიო ხალხთა სიმღერებსა და ცეკვებს ბავშვები მთელი წლის განმავლობაში ამზადებდნენ (მუსიკის მასწავლებელი – **ნესტან მინაძე**, ქორეოგრაფები – **ბაქარ ხინთიბიძე, ვაჟა ბენაშვილი**), ჩართული იყო კლასის ყველა მოსწავლე. იმდენად კარგად აითვისეს სიმღერები და ცეკვები, რომ მიზანსცენებზე მუშაობას ძალიან მცირე დრო დასჭირდა. უნდა აღინიშნოს კონცერტის მხატვრული გაფორმება, დეკორაციები ხელოვნების პედაგოგმა **თათული გიორგაძემ** დაამზადა.

ჯანა მერკვილაძე, კლასის დამრიგებელი: *„ძალიან ნიჭიერი ბავშვები არიან – კარგად მღერიან, ცეკვავენ. მათი მონაცემების გათვალისწინებით, პედაგოგებმა გადავწყვიტეთ რაიმე ორიგინალური, განსხვავებული მოგვეფიქრებინა. ავარჩიეთ მსოფლიო ხალხთა საუკეთესო სიმღერები და ცეკვები, გავაცანით ბავშვებს და მათ ძალიან მოეწონათ. ძალიან დამეხმარნენ ჩემი კოლეგები და ქორეოგრაფები, მარტო ნამდვილად ვერ შევძლებდი. მუშაობის პროცესში მივხვდით, რომ პროგრამა ძალიან დიდი გამოდიოდა და ვიფიქრე, რამდენიმე ნომერს ამოვიღებდი, მაგრამ ბავშვები წინააღმდეგი წავიდნენ. არ ეზარებოდათ.*

დღევანდელი დღე ჩემთვის ძალიან რთულია, მეოთხე კლასთან გამოთხოვება ყოველთვის უმძიმესია. როგორც ჩანს, ეს განცდა ბავშვებსაც გადაედოთ. ხვდებიან, რომ ჩვენ ვასრულებთ თანამშრომლობას, მაგრამ არა მეგობრობას, მაინც ძალიან მძიმეა მათთვისაც და ჩემთვისაც. ამ ოთხი წლის განმავლობაში მათ ისწავლეს სიყვარული, მეგობრობა, ერთმანეთის გვერდში დგომა, ალბათ ასეთი დიდი ემოციაც იმიტომ ჰქონდათ. ნამდვილად გამორჩეულად მიყვარს ეს კლასი.“

ნესტან მინაძე, მუსიკის პედაგოგი: *„ამ კლასის ყველა სპექტაკლს მუსიკალურად მე ვამზადებ. ყოველ ჯერზე ყველაფერს ნულიდან ვიწყებთ და მივდივართ ბოლომდე. ეს რთული, მაგრამ ძალიან საინტერესო გზაა, იმავდროულად დამღლელიცაა, ბევრი რამის გადალახვა გვიწევს, მაგრამ სასიამოვნო პროცესია, როცა ბოლოს, ფინალში, შენი შრომის შედეგს ხედავ – როგორ იწყებენ პატარები მოძრაობას, სიმღერას. ძალიან ძნელია, მაგრამ საინტერესო. გამორჩეული ბავშვები არიან. შეუძლებელია პატარებში ჩადებული შრომა უკან არ დაგიბრუნდეს. ხომ ნახეთ, რა კარგები და ლამაზები იყვნენ!“*

მსოფლიოს ხალხთა ცეკვებსა და სიმღერებზე მუშაობის პარალელურად, სასწავლო წლის განმავლობაში, კლასი მიუზიკლსაც ამზადებდა. კონცერტამდე ერთი კვირით ადრე, სკოლის სცენაზე, მათ ჩარლზ დიკენსის „ოლივერ ტვისტის“ პერსონაჟები გააცოცხლეს. სპექტაკლი ინგლისურ ენაზე მიმდინარეობდა (ინგლისური ენის პედაგოგები – **ნინო ცირეკიძე, ირინა ბერულავა**). მიუზიკლის პრემიერამ წარმატებით ჩაიარა, დარბაზმა ხანგრძლივი ოვაციებით დაჯილდოვა პატარა მსახიობები.

ჯანა მერკვილაძე: *„ოლივერის არჩევა ბავშვების სურვილმა განაპირობა, ძალიან უყვართ სიმღერისა და ცეკვის ელემენტები. ვიცოდით, რომ ამ ბავშვებთან მიუზიკლი აუცილებლად გამოვიდოდა და ამიტომაც შევეჭიდეთ. იმდენად დიდი იყო სურვილი, რომ ეჭვი არ შეგვპარვია, რომ დაძლევდნენ. მიუზიკლი მართლაც არაჩვეულებრივი გამოვიდა – როცა მონდომებაა, ყველაფერი ადვილად გამოდის.“*

ირინა ბერულავა, ინგლისური ენის პედაგოგი: *„ბავშვები სიმღერით ნამდვილად უფრო ადვილად სწავლობენ უცხო ენას, ადვილად იჭერენ ბგერებს. ვცდილობდით ისეთი სიმღერები აგვერჩია, რაც უკვდავია და ლამაზი, სასიამოვნოდ მოსასმენი. მერე იდეაც გაჩნდა – ეს ყველაფერი ერთად შევკარით და გავაკეთეთ სანახაობა, რომლითაც ბავშვებმაც ისიამოვნეს და მაყურებელიც კმაყოფილი დარჩა.*

ძალიან დიდი შრომა გავწიეთ, მთელი წელი, სექტემბრიდან დაწყებული, ნელ-ნელა, ეტაპობრივად მივყვებოდით. გაკვეთილის პროგრამა თავისას მოითხოვს, სასწავლო პროცესი არ უნდა შეფერხდეს. ძირითადი გაკვეთილების გარდა, გვაქვს ინგლისურის დამატებითი სწავლება და იქ ვმუშაობდით. ბავშვები ძალიან მონდომებულები არიან, ხალისობენ. კლასში ორ ჯგუფად არიან გაყოფილი, რეპეტიციებზე კი ვაერთიანებთ და ყველანი ერთად ვმუშაობთ.“

ნინო ცირეკიძე, ინგლისური ენის პედაგოგი: *„ვაცნობთ მათი ასაკისთვის შესაფერის ნაწარმოებებს ინგლისურად. ხშირად თვითონ ებადებათ იდეა, რა გავაკეთოთ. „ოლივერ ტვისტის“ სიუჟეტი რომ გავაცანით და სიმღერები მოვასმენინეთ, დიდი სიამოვნებით აიტაცეს. ბავშვები ძალიან დაგვეხმარნენ. ნახეს ფილმი, მოეწონათ, თვითონვე აირჩიეს პერსონაჟები, რომლებიც განასახიერეს. სპექტაკლი ისე ავაგეთ, რომ მთავარი როლები არ გვქონდა. მინდა გითხრათ, რომ როლების განაწილება ძალიან კარგად გამოსდით ბავშვებს, ობიექტურები არიან.*

ძალიან კმაყოფილები ვართ ჩვენი შრომის შედეგით, მიუზიკლს ვინც ნახავს, არ შეიძლება კმაყოფილი არ დარჩეს. მეოთხეკლასელებმა, სკოლაში მიღებული ინგლისური ენის ცოდნით, არაჩვეულებრივად დაძლიეს ტექსტი, ასევე სიმღერა, ცეკვა და გამართული მეტყველება. სიმღერა ბავშვებს მეტყველების გამართვაში ეხმარება, სიმღერით უცხო ენასაც უფრო იოლად სწავლობენ. მართლაც კარგი სპექტაკლი გამოგვივიდა.“

ნესტან მინაძე: *„ოლივერ ტვისტზე“ მუშაობა ძალიან საინტერესო იყო. ძირითადად, რა თქმა უნდა, უცხო ენის მასწავლებლები მუშაობდნენ, მუსიკაც მათ შეარჩიეს. მუსიკის მასწავლებლები დავეხმარეთ, ეს ყველაფერი რომ დაგვეხვეწა.*

ეს ბავშვები მიჩვეული არიან კარგ მუსიკას არა მარტო კონცერტებზე, გაკვეთილებიც ძალიან დატვირთული გვაქვს, ვარჩევთ კარგ, გემოვნებიან მუსიკას და პატარებსაც ისე აქვთ განაფული ყური, რომ უცხო ენაზე სიმღერაც არ უჭირთ. ხომ ნახეთ დღეს რამდენ ენაზე მღეროდნენ – ქართულად, ინგლისურად, ფრანგულად, ესპანურად, უკრაინულად, გერმანულად, რუსულად და სხვ. რა ენაზეც გინდათ ამღერეთ, ძალიან ადვილად ითვისებენ.

რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი მუშაობაა საჭირო, რომ ბავშვები, მერყევი სმენით, თუნდაც უსმენოები, აამღერო. როდესაც ერთად მღერიან, ერთმანეთი გაჰყავთ, ერთმანეთს უსმენენ, ყური სძლევთ და ყველანი მღერიან. ღონისძიებებში ყოველთვის ყველა ბავშვი გვყავს ჩართული. რა თქმა უნდა, სმენა აუცილებელია, მაგრამ როდესაც შერეული შესაძლებლობების ბავშვებთან გაქვს საქმე, აუცილებლად ყველას უნდა მისცე ბედნიერება, რომ იმღეროს. ისინი მომავალშიც, მეგობრების წრეში, თამამად, მოურიდებლად იმღერებენ, არ ექნებათ კომპლექსი, შეძლებენ სიმღერას აჰყვნენ და გაიხარონ, ისიამოვნონ. სიმღერა ხომ უდიდესი ბედნიერებაა. “

***

ოთხი წლის წინ, პირველი კლასის სტანდარტზე დაყრდნობით, შეიქმნა ინგლისური ენის სახელმძღვანელო, რომელმაც რამდენიმე სკოლაში გაიარა პილოტირება. ამ სკოლებს შორის იყო თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლა. პირველი კლასის საგნობრივი პროგრამა პირველკლასელთა ასაკობრივ თავისებურებებს და, შესაბამისად, შესაძლებლობებს იყო მისადაგებული. აქცენტი გადატანილი იყო მოსმენის უნარის განვითარებაზე, ლექსებისა და სიმღერების დასწავლით ლექსიკური მარაგის დაგროვებაზე, ფონოლოგიური უნარების გამომუშავებაზე.

პირველი კლასიდან უცხო ენის სწალებამ მაშინ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, საზოგადოება ორად გაიყო – იყვნენ მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც. დღეს, თუნდაც პირველი ექსპერიმენტული სკოლის IV[3] კლასის მაგალითზე, შეიძლება ითქვას, რომ პროექტმა გაამართლა – უკლებლივ ყველა საკმაოდ კარგად მეტყველებს ინგლისურ ენაზე. მათ ეხალისებათ და აინტერესებთ უცხო ენების სწავლა, რაც მთავარია, ძალიან კარგადაც გამოსდით.

ქართული როგორც მეორე ენა

პროექტი წარმატებით აგრძელებს მუშაობას

„ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ – პროგრამის ფარგლებში, პირველად, 2009 წელს გამოცხადდა კონკურსი. ამ დროს უკვე ვმუშაობდი არაქართულენოვან, კერძოდ, აზერბაიჯანულენოვან სკოლაში, ქვემო ქართლის ერთ-ერთ რეგიონში. რადგან უკვე მქონდა ამ გარემოში მოღვაწეობის გამოცდილებაც და წარმატებებიც, მონაწილეობა მივიღე კონკურსში და სამი ეტაპის (CV-ს შერჩევა, გამოცდა, გასაუბრება) გავლის შემდეგ მოვხვდი პროგრამაში.

როგორც უკვე აღვნიშნე, ახალ და უცხო გარემოში არ აღმოვჩენილვარ. მიუხედავად ამისა, მივხვდი, რომ სხვა პასუხისმგებლობა დამეკისრა და უფრო მეტი შემართებით უნდა მეკეთებინა სახელმწიფოებრივად ძალზე მნიშვნელოვანი საქმე. ქართულ ენას მანამდეც ვასწავლიდი ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსწავლეებს, ახლა კი შედეგი თვალსაჩინო და განსაკუთრებული უნდა ყოფილიყო როგორც მოსწავლეებში, ასევე თემის წარმომადგენლებში, რომელთაც ენის შესწავლის სურვილი ექნებოდათ. ამის მისაღწევად, პროგრამის ფარგლებში, სათანადო გადამზადება გავიარეთ (ერთთვიანი ტრენინგი როგორც საგნობრივ მეთოდიკაში, ასევე მულტიკულტურულ გარემოში მუშაობასა და ტოლერანტობაში).

ვაცნობიერებდი ჩემს პასუხისმგებლობას და პირველი, რაც გავაკეთე, იყო სასწავლო-საგაკვეთილო პროცესის შედეგზე ორიენტირებული დაგეგმვა. ახლაც მუდმივად ვცვლი და ვამრავალფეროვნებ სასწავლო მეთოდებს. ვგეგმავ ენის შემსწავლელ კლუბში მუშაობას, სადაც ქართული ენის შესწავლა შეუძლია ნებისმიერ მსურველს. მაგალითად, კალინინოს საჯარო სკოლაში ვმუშაობ, თუმცა ენის შემსწავლელები არიან ის მოსწავლეებიც, რომლებიც ამავე სოფელში ცხოვრობენ, მაგრამ სხვა სკოლაში დადიან; ენას სწავლობენ, ასევე, ადგილობრივი ეთნიკურად აზერბაიჯანელი სხვადასხვა საგნის მასწავლებლებიც. მოგეხსენებათ, არაქართულენოვან სკოლებში საგნები მშობლიურ ენაზე ისწავლება, მაგრამ ბოლო დროს გამოცემულ სხვადასხვა საგნის სახელმძღვანელოებში შესასწავლი თემების 30% ქართულ ენაზეა დაბეჭდილი. როცა საგნის მასწავლებელმა არ იცის ქართული, ეს ნაწილი, უბრალოდ, მათი ყურადღების მიღმა რჩება, რდგან ვერ ხსნიან მასალას, ამით კი მოსწავლე ზარალდება. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია ამ მასწავლებლებისთვის ენის კურსებზე სიარული და ქართული ენის თანდათანობით სრულყოფა.

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ფარგლებში მოსწავლეთათვის ვატარებთ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს – როგორც კულტურულ-შემოქმედებით, ასევე შემეცნებითს. ჩვენი ბავშვები მონაწილეობენ მოსწავლეთა კონფერენციებში, თვითონ ამზადებენ თემებს ქართულ ენაზე და აკეთებენ პრეზენტაციებს. ყველაფერი ეს კი ხელს უწყობს ქართულ ენაზე მეტყველების დახვეწას, მოსწავლეთა ინტელექტუალურ განვითარებას.

რაც შეეხება ადგილობრივ პედაგოგებს, მათი მონაწილეობით ვატარებთ მასწავლებელთა კონფერენციებს რეგიონებში. 2013 წლის დეკემბერში ასეთი კონფერენცია ჩავატარეთ თბილისის მასწავლებლის სახლში, რომელსაც 100-მდე არაქართულენოვანი სკოლის ქართული ენის მასწავლებელი ესწრებოდა (ნებისმიერი მსურველი). 20-მა მომხსენებელმა წარმოადგინა 20 საუკეთესო მეთოდი ან გაკვეთილი. მათ კოლეგებს გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება, რაც შემდგომში მასწავლებლებს გაკვეთილების დაგეგმვაში დაეხმარება და ქართული ენის ადვილად და ეფექტურად შესწავლას შეუწყობს ხელს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია შედეგები, რომელსაც სააატესტატო გამოცდებზე იმ სკოლების მოსწავლეები აჩვენებენ, სადაც პროგრამის მასწავლებლები მუშაობენ. გაუმჯობესება წინა წლებში დაიწყო. 2014 წელს კი ჩვენი მოსწავლეების 60%- მა 8, 9 და 10 ქულა დაიმსახურა CAT-ის გამოცდებზე ქართულ ენაში. ბარიერი ვერ გადალახა მხოლოდ 4%-მა. ეს არაჩვეულებრივი შედეგია. რაც მთავარია, ახლანდელი კურსდამთავრებულები საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აგრძელებენ სწავლას და აქვე აპირებენ მიღებული ცოდნით დასაქმებას. რაც დღეს ჩვენს ქვეყანას ძალიან სჭირდება, ეს არის განათლებული, ღირსეული და პატრიოტი მოქალაქე, რომელიც თავისუფლად შეძლებს ქართულ სახელმწიფოში საკუთარი თავის და პროფესიული უნარების რეალიზებას.

პროგრამა კვლავაც იმავე შემართებით აგრძელებს მუშაობას. წარმატების საფუძველია ჩვენი კოორდინატორის, **მაკო ჭილაშვილის** მხრიდან წარმატებული და პროფესიონალი კადრების შერჩევისათვის გამჭვირვალე და სამართლიანი კონკურსი, შემდეგ კი ნდობა მასწავლებლების მიმართ და საქმის სიყვარული.

ნინო გუთურიშვილი
გარდაბანი, სოფელ კალინინოს საჯარო სკოლა

სასკოლო აქტივობა

სასწავლო მეთოდი – „მკითხველთა თეატრი“

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd) აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროგრამაა. მისი მიზანია კითხვასა და მათემატიკაში დაწყებითი კლასების მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერა, რადგან კითხვის სწავლება-სწავლის თანამედროვე (ინტეგრირებული და დიფერენცირებული) მიდგომების დანერგვა დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა მიღწევებს გაუმჯობესებს.

აღნიშნული პროგრამის საშუალებით შემოთავაზებულ უამრავ საინტერესო მეთოდთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია „მკითხველთა თეატრი“, რომელიც მოსწავლეების მიერ წინასწარ შერჩეული ტექსტის წარმოდგენის სახით წაკითხვას გულისხმობს. მეთოდის გამოყენებით სამ მნიშვნელოვან შედეგს ვაღწევთ:

1. მოსწავლეებს სწრაფად უვითარდებათ გამართულად/გაწაფულად (გამართულად, სწრაფად, უშეცდომოდ და გამომეტყველებით) კითხვის უნარი;

2. უყვარდებათ ლიტერატურის კითხვა (საგრძნობლად იზრდება კითხვის მოტივაცია);

3. უღვივდებათ ინტერესი თეატრისა და დრამატული ჟანრის მიმართ.

წყალტუბოს ოტია იოსელიანის სახელობის №1 საჯარო სკოლის (დირექტორი – **ლაურა ჯიმშელეიშვილი**, სასწავლო ნაწილის გამგე – **დალი სილაგაძე**) VI° კლასის (დამრიგებელი – **თეა ბობოხიძე**) მოსწავლეებისათვის „მკითხველთა თეატრის“ მეთოდის ინტენსიური გამოყენება უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამიტომ მათ გაუჩნდათ სურვილი, გურამ პეტრიაშვილის პროგრამული და კლასგარეშე საკითხავი ზღაპრები – „წვიმის მოყვარული კაცი“, „უცნაური კაცი“, „პატარა დინოზავრი“, „ბოლო ამბავი“ – როლური თამაშით გამოეტანათ ფართო აუდიტორიის წინაშე და ეჩვენებინათ საკუთარი შესაძლებლობები.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები – **დოდო ხაჩიძე** და **დარეჯან ლაჭყეპიანი** – იდეის განხორციელებაში დაეხმარნენ მოსწავლეებს, რომლებმაც სკოლის სააქტო დარბაზის სცენაზე დიდი ემოციითა და ენთუზიაზმით წარმოადგინეს ლიტერატურული ზღაპრების ინსცენირება.

ნანა აბესაძემ, საბა აბრამიშვილმა, ნოდარ ამბროლიანმა, შოთა არველაძემ, გიორგი აფხაძემ, გურამ აფხაძემ, საბა ბენიძემ, ირაკლი ბენდელიანმა, ვასილ ბურჯანაძემ, გიორგი გაბიანმა, ელენე გავაშელიშვილმა, ლუკა დანგაძემ, ანა ვერულაშვილმა, მართა იობიძემ, გოდერძი კაპანაძემ, ანი კობახიძემ, თეკლა კოვზირიძემ, კესო ლიპარტელიანმა, ზურაბ მუკბანიანმა, ლიანა ნიკოლიშვილმა, ანა ომანაძემ, შორენა სულაბერიძემ, სანდრო უგულავამ, ანასტასია ფუტკარაძემ, ანა ფხაკაძემ, ლანა ქაშიბაძემ, ზურაბ ქუთათელაძემ, ნანა შვანგირაძემ და თედო ჯებაშვილმა ისაუბრეს გურამ პეტრიაშვილზე, როგორც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეზე, შემოქმედის დამსახურებასა და საქმიანობაზე და, რაც მთავარია, გაითავისეს ზღაპრის პერსონაჟთა სიხარული თუ ტკივილი, ჩასწვდნენ ნაწარმოებთა მთავარ აზრს, რომ სიკეთისა და სილამაზის, სათნოების, მშვენიერებისა და სიყვარულის განცდა აკეთილშობილებს ადამიანს, ხდის მიმტევებელს.

მოსწავლეების მონდომებამ შედეგი გამოიღო, მათ შეძლეს პერსონაჟთა მხატვრული სახეების გაცოცხლება, საკუთარი კომუნიკაციური ქცევის შესაბამის კონტექსტთან მისადაგება, მეტყველებდნენ მკაფიოდ, გასაგებად, გააზრებულად. მთავარია, რომ ისინი უკვე კარგი მკითხველები არიან, რაც ძალიან დაეხმარებათ შემდგომ ეტაპზე ანალიტიკური და კრიტიკული უნარების უკეთ განვითარებაში.

დოდო ხაჩიძე
წყალტუბოს ოტია იოსელიანის სახელობის №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ინფორმაცია

სკოლებში სამედიცინო კაბინეტები აღდგება

ანა ფირცხალაიშვილი

13 ივნისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, **თამარ სანიკიძემ** და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, **დავით სერგეენკომ**, ერთობლივ ბრიფინგზე, ქვეყნისთვის მეტად საჭირო ინიციატივის შესახებ გააკეთეს განცხადება. საქმე ეხება საჯარო სკოლებში სამედიცინო კაბინეტების ფუნქციონირების აღდგენას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ წლების განმავლობაში, სკოლები, ძირითადად, დამოკიდებულია მხოლოდ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მომსახურებაზე და არ არის ჩართული იმუნიზაციის ხელშემწყობ პროცესებში, სამედიცინო კაბინეტების არარსებობის გამო ქვეყანაში არ არის სკოლის მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მონაცემთა ბაზა და არ მოქმედებს რეფერალის განხორციელების ადეკვატური მექანიზმი, სკოლებში ეპიდემიოლოგიურად და ჰიგიენის თვალსაზრისით არაკეთილსაიმედო მდგომარეობაა, დაბალია ინფორმირების დონე, ცხადი გახდება, რაოდენ მნიშვნელოვანია განათლების სამინისტროს ინიციატივის დროული და ხარისხიანი განხორციელება.

პროექტი ჟურნალისტებს წარუდგინა ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა **ნინო კვიტაიშვილმა**. მან იმ ძირითადი გზავნილების შესახებ ისაუბრა, რომელსაც პროექტი ითვალისწინებს, კერძოდ: სკოლის ექიმი მოსწავლეებს დროულ პირველად სამედიცინო დახმარებას აღმოუჩენს; დაგეგმავს და განახორციელებს ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებებს; განახორციელებს ადეკვატურ რეფერალს; ხელს შეუწყობს ქრონიკული დაავადებებისა და სასკოლო ტრავმატიზმის პრევენციას; გაავრცელებს ინფორმაციას იმუნიზაციისა და ინფექციური დაავადებების პრევენციული მექანიზმების შესახებ; სკოლის დირექციასა და დამრიგებლებს მისცემს რეკომენდაციას ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; სკოლები აქტიურად ჩაერთვებიან იმუნიზაციის ხელშემწყობ პროცესებში; ჯანმრთელობისა და ჰიგიენის დაცვის საკითხებში გაიზრდება ინფორმირებულობისა და ცოდნის დონე.

ამირან გამყრელიძე, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორი: *„ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივაა. ცნობილია, რომ თაობა, რომელიც სკოლაში სწავლობს, ყველაზე ჯანმრთელი თაობაა. ამავე დროს, სწორედ სკოლაში იწყება ის, რაც შემდეგ მოზრდილ ასაკში იჩენს თავს – ქრონიკული, ინფექციური თუ სხვა სახის დაავადებები. თუ სკოლის ასაკში ბავშვის ჯანმრთელობაზე შესაბამისი მონიტორინგი განხორციელდება, მიეცემათ საჭირო განათლება ჯანმრთელობის ხელშეწყობის ხანგრძლივი პროცესის შესახებ და თითოეული ახალგაზრდა იხელმძღვანელებს ამ რეკომენდაციებით, მომავალში აუცილებელად მივიღებთ ჯანმრთელ საზოგადოებას. ამ ჯერზე ჩვენმა სამსახურმა მცირედი წვლილი შეიტანა პროექტის განსახორციელებლად გაწეულ საქმიანობაში, მაგრამ განხორციელების პროცესში აქტიურად ჩავერთვებით. ძალიან სერიოზული სამუშაო იქნება გასაწევი სკოლაში ჰიგიენური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. იყო დრო, როცა სასკოლო ჰიგიენა, სამედიცინო ინსტიტუტში, ცალკე საგნად ისწავლებოდა. ახლა ამ მხრივაც მძიმე მდგომარეობა გვაქვს. ჰიგიენურ პირობებზე კი ბევრი რამაა დამოკიდებული. ჩვენთან სპეციალური ჯგუფი მუშაობს ამ საკითხზე ნორმატიული ბაზის შესაქმნელად, ბუნებრივია, გადაიხედება სასკოლო ჰიგიენის ნორმატივებიც. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი – წელს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ასამბლეის მთავარი საკითხი იყო სიმსუქნე ბავშვებში. ჩვენ არ ვიცით, რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ საქართველოში. ეს კვლევა უნდა განხორციელდეს და ამ საქმეში დიდ დახმარებას გაგვიწევს სკოლების სამედიცინო კაბინეტები“.*

პროექტის მნიშვნელობასა და ჯანდაცვის სამინისტროს ჩართულობაზე **დავით სერგეენკომაც** ისაუბრა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ *„იმ ქვეყნებშიც კი, სადაც პირველადი ჯანდაცვა ძალიან კარგადაა განვითარებული, სკოლის სამედიცინო პერსონალის ფუნქცია არ გამქრალა. სამწუხაროდ, ჩვენ ეს რგოლი ვერ შევინარჩუნეთ. ახლა მაინც, ერთობლივი ძალისხმევით, უნდა შევძლოთ მისი აღდგენა“.*

პროექტის განსახორციელებლად, ორ უწყებას შორის, ფუნქციები ასე განაწილდა: ახალი სასწავლო წლიდან, საპილოტე სკოლებში, ექიმებად დასაქმდებიან ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შერჩეული პირები, რომლებიც ფლობენ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დამადასტურებელ სახელმწიფო სერტიფიკატს საექიმო სპეციალობაში, რომელთაც შეარჩევს, გადაამზადებს და მონიტორინგსაც თავადვე გაუწევს. პროექტის სრულად ამოქმედებისთვის კი, სავარაუდოდ, საჭირო იქნება კონკურსის ჩატარება; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უზრუნველყოფს 100 საპილოტე სკოლის შერჩევას და მათი ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგებას. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის განცხადებით, გამოსაცდელი პერიოდი მიმდინარე წლის ბოლომდე გაგრძელდება და გამოავლენს ყველა იმ ხარვეზსა თუ დეტალს, რომელიც შესაძლოა არ იყოს ამ ეტაპზე გათვალისწინებული. 2015 წლიდან კი, სამედიცინო კაბინეტები ქვეყნის ყველა საჯარო სკოლაში ამოქმედდება.

წვლილი ქართული კულტურის განვითარებაში

მაკა ყიფიანი

დავით თორაძის სახელობის 22-ე ხელოვნების სამუსიკო სკოლამ (დირექტორი – **მაია ბერიძე**) თბილისის კულტურის სახლში „იმედი“ მორიგი საანგარიშო კონცერტი გამართა. აკადემიურ გუნდთან ერთად ღონისძიებაში ხელოვნების სამუსიკო სკოლასთან არსებული ანსამბლი „ახალი თობა“ მონაწილეობდა. მოსწავლეები მსმენელთა წინაშე ხალხური, კლასიკური, საესტრადო სიმღერებითა და საგალობლებით წარდგნენ. აკადემიურმა გუნდმა შეასრულა კომპოზიტორ ნუნუ გაბუნიას სიმღერა „საქართველოს ცა“ და ოთხი საგალობელი – პატრიარქის „წმინდაო ღმერთო“, სვანური „წმინდაო ღმერთო“, „შობა“, ნაწყვეტი ღვთიური საგალობლიდან „კირიელეისონ“.

მაია ბერიძე, ხელოვნების სამუსიკო სკოლის დირექტორი: *„ჩვენი სკოლა 35 წლის ისტორიას ითვლის. სკოლაში 80-მდე ბავშვი სწავლობს, რომლებიც ეუფლებიან ფორტეპიანოს, ფოლკლორს, საესტრადო სიმღერებს, გალობას. ჩვენი მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებებში. რამდენიმე ხნის წინ, პატრიარქმა თავისი საგალობლების კრებული გვაჩუქა. 30 აპრილს, სამების საკათედრო ტაძარში, ჩვენი მოსწავლეების მიერ შესრულებული პატრიარქის საგალობლების პრეზენტაცია მოვაწყვეთ. დღევანდელ ღონისძიებაში 45 მოსწავლე მონაწილეობს. მინდა ჩვენს აღსაზრდელებს წარმატებები ვუსურვო. მჯერა, ბავშვები, რომლებიც კულტურას ეზიარებიან, ცუდს არასოდეს ჩაიდენენ. ვისურვებდი, რომ ჩვენი სკოლა კიდევ უფრო გაფართოვდეს და გაძლიერდეს, რათა მომავალში ჩვენი წვლილი შევიტანოთ ქართული კულტურის განვითარებაში“.*

ლეილა ასლანიძე, ხელოვნების სამუსიკო სკოლის დირიჟორი და ანსამბლის „ახალი თაობა“ ხელმძღვანელი: *„დღევანდელი საანგარიშო კონცერტით წარმოვაჩინეთ ჩვენ მიერ გაწეული შრომა, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში ვეწევით მოსწავლეებთან ერთად. დღევანდელი ღონისძიებით მოსწავლეებმა მშობლებს დღესასწაული მოუწყვეს. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი სკოლის დირექტორს, ქალბატონ მაიას, რომელიც ჩვენთან ერთად დაუღალავად შრომობს და გვერდში გვიდგას, ასევე ახალგაზრდა პედაგოგს* ***ირაკლი ახუაშვილს****, რომელიც ჩვენი სკოლის აღზრდილია და ძალიან დიდ დახმარებას გვიწევს მოსწავლეების მომზადებაში. მიხარია, რომ აკადემიური გუნდი და ხელოვნების სკოლასთან არსებული ანსამბლი „ახალი თობა“ ნიჭიერი მოსწავლეებითაა დაკომპლექტებული“.*

ინფორმაცია

მუსიკა ჩვენს ცხოვრებაში

პეტრე ამირანაშვილის სახელობის მე-18 სამუსიკო სკოლის (დირექტორი – **თენგიზ იაგორაშვილი**) მოსწავლეთა ცხოვრებაში მუსიკას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ისინი ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა ცხოვრებასა და შემოქმედებას სწავლობენ. ამჯერად, ჩვენი თანამემამულის, კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო მისივე მუზეუმში გაიმართა. ღონისძიების თემა იყო „მუსიკა ჩვენს ცხოვრებაში და დიდი ქართველი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი“. შეხვედრა სკოლის მოსწავლემ, **ნინო სილაგაძემ** გახსნა. მაჭავარიანის, დავითაშვილის, დვორჟაკის, რახმანინოვის, დებიუსისა და სხვა კლასიკოსთა ნაწარმოებები შეასრულეს: **ლუკა თოდაძემ, სოფო ლეჟავამ, ნინო სილაგაძემ, დავით მჭედლიძემ, ნიკა კონიაშვილმა, ნინო იარაგოვამ, ნანა ჯანგველაძემ** და სხვებმა.

შესრულების მანერა და კლასი, რაც იმ დღეს ჩვენმა მოსწავლეებმა აჩვენეს მათი პედაგოგების პროფესიონალიზმზე და დაუღალავ შრომაზე მიუთითებს. ამიტომაც იყო ის საღამო სასიამოვნო და შთამბეჭდავი თითოეული მსმენელისათვის.

ნადია გალაშვილი
მე-18 სამუსიკო სკოლის თეორიის და მუსლიტერატურის მასწავლებელი

სასკოლო აქტივობა

ქიმიის შემოქმედი პედაგოგი

რუსთავში, პოპულარულ ქიმიკოს პედაგოგთა შორის, **ინეზა სანიკიძეს** რიგით პირველად იცნობენ. მოსკოვის მენდელეევის სახელობის ინსტიტუტდამთავრებულს, დიდ წიგნიერებასთან ერთად, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობაც გამოჰყვა. მას პედაგოგობა, როგორც პროფესია, არ აურჩევია, იგი ბუნებით, უნარ-ჩვევებით და ურთიერთობებით შინაგანად ზედმიწევნითაა მორგებული მასწავლებლობას. მისი ჩატარებული გაკვეთილები და საჩვენებელი, ღია საქალაქო გაკვეთილები ქიმიაში ახლის შესწავლისა და აღმოჩენის პროცესია მოსწავლეთათვის თუ დამსწრეებისათვის.

იგი სერტიფიცირებული პედაგოგია, სამი შვილის დედა, არაჩვეულებრივი კოლეგა და მეგობარი, მოსწავლეებისათვის – ძალიან განათლებული, საყვარელი პედაგოგი, რომელსაც შეიძლება ყოველთვის ენდო. სასწავლო წლის დასასრულს ინეზა მასწავლებელმა მე-7 საჯარო სკოლის მე-8 კლასში ჩაატარა გაკვეთილი თემაზე: „ეს საოცარი წყალი“, რომელმაც სქემატური მეცნიერული მიგნებების გარდა, გამოავლინა მოსწავლეების ცოდნა წყლის შესახებ პროზასა და პოეზიაში, ეკოლოგიაში, სოციალურ ყოფაში, ეკონომიკაში...

გაკვეთილი ვიქტორინის სტილში ჩატარდა და მასწავლებლის როლშიც მოსწავლეები იყვნენ. მათ ცდებით დაასაბუთეს, რა განსხვავებაა უმ და ანადუღარ წყალს შორის, რატომ არ იწვის წყალი, რატომ არ იწვის წყალბადი და ჟანგბადი წყლის შემადგენლობაში, ვერბალურად დაასაბუთეს წყლის ხუთი მდგომარეობა მეტეოროლოგიაში, ხუთი სპეციალობა, რომელიც წყალთანაა დაკავშირებული, ისაუბრეს ადამიანის ორგანიზმში წყლის შემადგენლობაზე, ტექნიკასა და სოფლის მეურნეობაში წყლის გამოყენებაზე, ჩაატარეს ინსცენირება – „ვინ ვართ ჩვენ“ და მოაწყვეს მხატვრული ინსცენირება – „ქიმიის გაკვეთილებზე“.

ქიმიურმა ცდებმა – „ჯადოსნური ცხვირსახოცი“, „რითი ავანთე ცეცხლი“, „საიდუმლო წერტილი“ – დიდი გამოცოცხლება გამოიწვია. ღია გაკვეთილს, რომელმაც გამორჩეული მოსწავლეები გამოავლინა – **თეონა ნინოშვილი, გიორგი ბრეგვაძე, ქეთი შუბითიძე, ლაშა ვარდიძე, სოფო ბეჟანიშვილი, ვალერი გოგოძე, ნინო კუპატაძე** და სხვები, მშობლები და პედაგოგები ესწრებოდნენ.

სკოლის დირექტორმა, **ლია ჯღარკავამ** პედაგოგისა და მერვეკლასელების ერთობლივი მუშაობა დადებითად შეაფასა და ხაზი გაუსვა შემოქმედებითობას. ინეზა მასწავლებელი ჩვენი დროის წარმატებული პედაგოგია – აღნიშნა მან – ღრმა მეცნიერული ცოდნით, პრაქტიკული, თავდაუზოგავი საქმიანობით და შემოქმედებითი მუხტით. მას შეუძლია ქიმიის გაკვეთილებს პოეტურობაც კი შესძინოს. ეს კარგია თუ ცუდი? – ინეზა მასწავლებლის სწავლების მეთოდებით ძალიან ადვილად სწავლობენ ამ რთულ მეცნიერებას მე-7 სკოლის მოსწავლეები და „მზეკაბანელებიც“, სადაც ასევე წარმატებით ასწავლის ინეზა სანიკიძე.

სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეებმა ქიმიის მეცნიერებაში საფუძვლიანი და მყარი ცოდნა შეიძინეს. რაც შეეხება წყალს, ბიბლიური სოლომონ ბრძენისა და გოეთეს დაუვიწყარი სრტიქონებიდან ამ სითხის შესახებ – დღევანდელობამდე, ბევრი რამ იციან და თავსაც მოიწონებენ ამ ცოდნით.

ისიც სათქმელია, რომ გაკვეთილი ერთდროულად VIII და XI-კლასელებმა ჩაატარეს ერთმანეთთან პარტნიორობითა და კოლეგიალობით.

ლია მარტაშვილი

ზუგდიდელი მოსწავლეები ახალი ელექტრონული სასწავლო რესურსებით ისარგებლებენ

საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა თანამედროვე ელექტრონული სასწავლო რესურსები ზუგდიდის ალექსანდრე ღურწკაიას საბუნებისმეტყველო გიმნაზიას გადასცა. უნივერსიტეტის ფიზიკის დეპარტამენტის პროფესორებმა გიმნაზიისა და ზუგდიდის საჯარო სკოლების პედაგოგებს ახალი პროგრამები და დისტანციური სწავლების საშუალებები წარუდგინეს. ღონისძიებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე** და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი **არჩილ ფრანგიშვილი** დაესწრნენ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკის დეპარტამენტმა ზუგდიდის ა. ღურწკაიას სახელობის გიმნაზიას გადასცა: ვირტუალური სწავლების საშუალებები, ქართული ენის შესასწავლი სრული კურსი (I-XII კლასები), დაწყებითი კლასებისათვის მათემატიკის, ბუნების, მუსიკის, ფიზიკისა და მათემატიკის სწავლების სრული პაკეტი. ახალი პროგრამები გიმნაზიის მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლაბორატორიაში, დისტანციურად, საკუთარი სკოლიდან იმუშაონ, ჩაატარონ რეალური დისტანციური სამუშაოები. ამ პროგრამებით სარგებლობის შესაძლებლობა ზუგდიდის საჯარო სკოლის მოსწავლეებსაც შეეძლებათ. უნივერისტეტმა გიმნაზიას, ასევე, გამოჩენილ ფიზიკოსთა პორტრეტები გადასცა.

ა. ღურწკაიას სახელობის გიმნაზია 9 თვის წინ დაარსდა და მიზნად ისახავს რეგიონის მოზარდების საინჟინრო სპეციალობებით დაინტერესებას. სკოლა აღჭურვილია მსოფლიოში საუკეთესო გერმანული მწარმოებლის – ფუვეს და სხვა თანამედროვე დანადგარებით. პირველი 9 თვის განმავლობაში, ზუგდიდის რესურსცენტრთან თანამშრომლობით, უკვე ჩატარდა რამდენიმე სემინარი რეგიონის მასწავლებლებისთვის უცხოელი პროფესორების მოწვევით. გიმნაზია მზადაა, თავისი ლაბორატორიული ბაზა ნებისმიერი სკოლის მოსწავლეებს მიაწოდოს ღია გაკვეთილების ჩატარების მიზნით.

ინფორმაცია

დაიმახსოვრეთ ეს სახელები

მარინა გენიძე

სასახლის ლექტორიუმი სულ სხვაგვარადაა მორთული, ისმის მუსიკა. დღეს აქ სასახლის ლიტერატურული სტუდიის „ცეროდენა კალმოსანთა“ კრებულების – „ჩემი პირველი წიგნი“ – პრეზენტაცია ტარდება, სტუმრები ბავშვთა ხელნაწერ კრებულებს ათვალიერებენ.

რამდენიმე წელია, სტუდიაში მუშაობს „ცეროდენა კალმოსანთა“ კლუბი, სადაც გაერთიანებული არიან ძირითადად მე-3, მე-4, მე-5 კლასელი მოსწავლეები და რომლის დევიზია „დაიმახსოვრეთ ეს სახელები“.

როგორც პროექტის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **გული სალუქვაძემ** განმარტა: *„უმცროსკლასელთა ასაკი ეტაპობრივად ძალიან საინტერესო და საყურადღებო პერიოდია მოზარდთა ცხოვრებაში. პატარებმა უკვე განვლეს სასკოლო ცხოვრების შეგუების ხანა და ახლა ისინი „დიდ საქმეებს“ ეჭიდებიან – იწყებენ ლექსების, ჩანახატების, მოთხრობების წერას და უმრავლესობა ამას კარგადაც ახერხებს, რაც იწვევს სიხარულს, ჩნდება საკუთარი ძალებისადმი რწმენა. შემოქმედებითი სიხარულის განცდა ბადებს ინტერესს, ინტერესი კი განაპირობებს სწრაფვას შეცნობისაკენ, რაც თავისთავად გულისხმობს ცოდნის შეძენის წყურვილს“.*

უკვე ტრადიციად იქცა, საზაფხულო არდადეგების წინ, სასწავლო წლის განმავლობაში შექმნილ ნაწარმოებთა გამოტანა აუდიტორიის წინაშე. კლუბის ყოველი წევრი წარმოადგენს თავის „პირველ წიგნს“.

ხელნაწერი კრებულები სტანდარტულია – ერთი ზომისაა, რომლებშიც მოსწავლის ხელით სუფთად გადაწერილი ნაწარმოებებია შეტანილი. გარეკანზე ავტორის ფოტო და მის მიერვე მოფიქრებული კრებულის სახელწოდებაა განთავსებული (მაგ. „კვირტები“, „ჩემი სარკმლიდან დანახული ამბები“, „მზე იცინის“ და ა.შ.).

პრეზენტაცია საინტერესოდაა ჩაფიქრებული. სცენაზე ოცდაათი სკამიდან ერთ-ერთს იკავებს ყოფილი სტუდიელი, დღეს უკვე ცნობილი ახალგაზრდა პოეტი, ფილოსოფოსი, ჟურნალისტი **ლექსო დორეული**, რომელიც წლის განმავლობაში მეთვალყურეობდა ნორჩ შემოქმედებს. ხშირად მოდიოდა სტუდიაში, ესაუბრებოდა, არიგებდა, აგულიანებდა მათ. პატარა კალმოსნებიც ეთაყვანებიან ლექსოს, ცდილობენ თავი მოაწონონ. რიგ-რიგობით კითხულობენ თავიანთ ნაწარმოებებს, მერე კი ლექსოს გვერდით იკავებენ ადგილს. პატარები გულის ფანცქალით ელოდებიან მის შეფასებას.

ლექსოს შეფასება კი ასეთია:

ჩემო პატარა მეგობრებო!

თქვენ უკვე ნაწარმოებებს წერთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩემი კოლეგები ხართ!

პრეზენტაციას დაესწრნენ საქველმოქმედო ორგანიზაცია „ადენესის“ და გამომცემლობა ბაკურ სულაკაურის კონკურსის „წიგნის თაობა 2014“-ის წარმომადგენლები, გუნდი „კარპედიების“ წევრები: **ფიქრია ფირცხალაიშვილი**, **მარიამ შოვნაძე** და **დათო სხირტლაძე**. მათ ყველა ავტორს გადასცეს სერტიფიკატი და წიგნებზე 25%-იანი ფასდაკლების ბარათი, „ცეროდენა კალმოსანთა“ კლუბს კი წიგნი „მსოფლიოს საოცრებები“ უსახსოვრეს.

ფერმერთა განათლება და ინოვაციური სათბურები სამეგრელოში

შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის ფილიალს ეწვივნენ: გაეროს ხელმძღვანელი საქართველოში **ნილს სკოტი**, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) წარმომადგენელი საქართველოში **სიმონე ვოლკენი**, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **ქეთევან ნატრიაშვილი**, სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე **ოთარ დანელია**, მინისტრის მოადგილე **დავით გალეგაშვილი** და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილე **მამუკა ცოტნიაშვილი**. სტუმრებმა ფერმერთა საინფორმაციო და საკონსულატაციო ცენტრი და ინოვაციური, ეკოლოგიურად სუფთა სათბურები მოინახულეს.

ფერმერთა საკონსულტაციო, ანუ ექსტენციის ცენტრი ინფორმაციითა და ტრენინგით ემსახურება ადგილობრივ ფერმერებს. 2013-2014 წლებში პრაქტიკული დახმარება აქ 700-ზე მეტმა ფერმერმა მიიღო, ასევე განხორციელდა 30-მდე სადემონსტრაციო პროექტი, რომელთა დანიშნულებაა სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა.

ინოვაციური სათბური ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სადემონსტრაციო პროექტია, რომელიც შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ხორციელდება. ენერგოეფექტური სათბური იყენებს ენერგიის ჰიბრიდულ სისტემას – გეოთერმულ და მზის ენერგიას. სათბური გადახურულია პოლიკარბონატით, მდგრადი და ეკონომიური მასალით, რომელიც შესანიშნავ თბოიზოლაციას უზრუნველყოფს. ტრადიციულ სათბურებთან შედარებით, ასეთი სათბური 60 პროცენტით ნაკლებ ელექტროენერგიას მოიხმარს. სათბურში გეოთერმული ენერგიის გამოყენება საქართველოსთვის ინოვაციური მიდგომაა.

ინოვაციური სათბურით ისარგებლებენ როგორც მცირე ფერმერები, ასევე პროფესიული სასწავლო კურსების სტუდენტები. სათბურში უკვე 50-ზე მეტმა სტუდენტმა გაიარა პრაქტიკული სწავლება.

ახალი მოდულური პროგრამები ახალციხის პროფესიულ კოლეჯში

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში, სოფლის მეურნეობის მიმართულებით, რვა პროფესიაში ახალი მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავდა, რომლის პილოტირების მეთოდოლოგიას, ახალციხის პროფესიულ კოლეჯში „ოპიზარი“, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები გაეცნენ.

ღონისძიების ფარგლებში, ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტისა და ფერმერის სპეციალობებზე მოდულარული სწავლების პილოტირების მიზნით, ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს პროფესიულ კოლეჯ „ოპიზარსა“ და კერძო სექტორს შორის. მემორანდუმი ითვალისწინებს კერძო სექტორის საწარმოო ბაზაზე პროფესიულ სტუდენტთა მიერ პრაქტიკული კომპონენტების ათვისებას, რაც, ახალი მოდულური პროგრამების განხორციელების ფარგლებში, თავისთავად ითვალისწინებს დამსაქმებელთა აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში.

ახალი სასწავლო პროგრამები საქართველოს სოფლის მეურნეობის დასაქმების ბაზრის ყველაზე მწვავე საჭიროებებს პასუხობს. აღსანიშნავია, რომ ფერმერობა, როგორც პროფესია, პირველად დამკვიდრდება პროფესიული კოლეჯების პროგრამაში.

ახალი პროგრამები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ **ქეთევან ნატრიაშვილმა** შეაფასა: *„ეს არის ძალიან მაღალი ხარისხის, სრულიად თანამედროვე, შედეგებზე ორიენტირებული მოდულური პროგრამები, რომელიც, საბოლოო ჯამში, აამაღლებს ხარისხს და მივაღწევთ იმ დონეს, რაც გვჭირდება პროფესიულ განათლებაში“.* ახალი სასწავლო პროგრამების პილოტირება, 2014 წლის ზაფხულში, ახალციხის, კაჭრეთის, თელავისა და სენაკის პროფესიულ კოლეჯებში გაიმართება. საცდელ პროგრამებში 130 სტუდენტი მიიღებს მონაწილეობას.

პროგრამები სოფლის მეურნეობაში შემუშავებულია გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევითა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) ფინანსური მხარდაჭერით.

ინკლუზიური პროფესიული განათლება დასაქმებისათვის

ინკლუზიური პროფესიული განათლების ფარგლებში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის თემა იყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების პოლიტიკის განსაზღვრის საკითხი, რომელსაც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს წევრები და დამსაქმებლები ესწრებოდნენ.

შეხვედრისას განხილულ იქნა სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებასთან დაკავშირებული გამოწვევები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დამსწრე საზოგადოებას 2014 წელს ინკლუზიური პროფესიული განათლების მიმართულებით დაგეგმილი აქტივობები და ინიციატივები გააცნო, რომელიც მათი დასაქმების პრეცედენტის შექმნას შეუწყობს ხელს.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ისაუბრა სსსმ პირთა დასაქმების მოდელების შესახებ. აღნიშნული მოდელები და რეკომენდაციები შემუშავებულია ჩეხეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

შეხვედრისას გამოიკვეთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების მიმართულებით შემდეგი საჭიროებები: უწყებათაშორისი კოორდინაციის გაძლიერება; ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება სსსმ პირთა დასაქმების პოლიტიკის განსაზღვრისათვის; დამსაქმებელთა მოტივაციის მექანიზმების შექმნა და დანერგვა.

შეხვედრის შედეგად განისაზღვრა სამუშაო ჯგუფების შექმნის საკითხი, რომელშიც ჩართული იქნებიან თავად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები, დამსაქმებლები და სამინისტროს წარმომადგენლები. შედეგად განისაზღვრება ერთიანი პოლიტიკა შშმ პირთა დასაქმების მიმართულებით.

ინფორმაცია

თელავის საჯარო სკოლას ახალი ელექტრონული სასწავლო ტექნოლოგიები გადაეცა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკის დეპარტამენტმა თელავის მესამე საჯარო სკოლას თანამედროვე ელექტრონული სასწავლო რესურსები გადასცა. სკოლაში უნივერსიტეტის ფიზიკის დეპარტამენტის პროფესორებმა ვირტუალური მოდელების (ქართული, ბუნება, მათემატიკა, ფიზიკა) და რეალურ-ვირტუალური ცდების დემონსტრირება გამართეს, ასევე წარმოადგინეს დისტანციური სწავლების საშუალებების პრეზენტაცია. ღონისძიებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე** და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი **არჩილ ფრანგიშვილი** დაესწრნენ.

თამარ სანიკიძის განცხადებით, ელექტრონული სასწავლო რესურსებისა და დისტანციური სწავლების მეთოდის დანერგვა, განსაკუთრებით რეგიონების სკოლებში, ძალიან მნიშვნელოვანია. ახალი პროგრამები საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლაბორატორიაში დისტანციურად, საკუთარი სკოლიდან იმუშაონ, ჩაატარონ რეალური დისტანციური სამუშაოები.

პროგრამა, რომელიც ტექნიკურმა უნივერსიტეტმა თელავის მესამე საჯარო სკოლას გადასცა, მოიცავს:

- ❖ ვირტუალური სწავლების საშუალებებს;
- ❖ ქართული ენის შესასწავლ სრულ კურსს (I-XII კლასები);
- ❖ დაწყებითი კლასებისათვის – მათემატიკა, ბუნება, მუსიკა;
- ❖ ფიზიკისა და მათემატიკის სწავლების პაკეტს;
- ❖ რეალურ ლაბორატორიულ სამუშაოებს;
- ❖ თავისუფალი ვარდნის აჩქარების განსაზღვრას;
- ❖ ინერციის მომენტის განსაზღვრას;
- ❖ გამტარის წინაღობის გეომეტრიულ პარამეტრებზე დამოკიდებულების შესწავლას.

რეალურ ლაბორატორიულ სამუშაოებს თან ახლავს შესაბამისი თეორიის აღწერა და ჩატარების მეთოდური მითითებები, რაც ასევე გადაეცა სკოლას.

ღონისძიების ფარგლებში, თამარ სანიკიძე თელავის რაიონის საჯარო სკოლების დირექტორებსა და მასწავლებლებს შეხვდა. შეხვედრაზე მინისტრმა 2013-2014 სასწავლო წელი შეაჯამა, სისტემაში განხორციელებულ სიახლეებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა, პედაგოგების შეკითხვებსაც უპასუხა და მათგან რეკომენდაციები მოისმინა.

რუსთავის პროფესიული კოლეჯის განახლებული პროგრამები

კერძო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **ქეთევან ნატრიაშვილი** რუსთავის პროფესიულ კოლეჯ „მოდუსის“ განახლებულ სასწავლო პროგრამებს გაეცნო, სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დაათვალიერა და სტუდენტთა პრეზენტაციები მოისმინა.

შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამის ცოდნასა და უნარებს რუსთავის პროფესიული კოლეჯი, ყოველწლიურად, ასობით სტუდენტს აძლევს. განახლებული სასწავლო პროგრამებით, სტუდენტები 15 სპეციალობას ეუფლებიან. სასწავლებელი აქტიურად თანამშრომლობს კურსდამთავრებულთა პოტენციურ დამსაქმებლებთანაც, რომელთა შორისაა კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯია“. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ერთობლივი პროექტის „ახალგაზრდების ჩართვა პროფესიული განათლების პროცესში“ ფარგლებში, „მოდუსის“ წარჩინებული სტუდენტები სტიპენდიებით დაჯილდოვდნენ. კომპანია კოლეჯის სტუდენტებს საწარმოო პრაქტიკით და შემდეგ დასაქმების შესაძლებლობითაც უზრუნველყოფს. ინკლუზიური განათლების ფარგლებში, „მოდუსში“ სხვადასხვა პროფესიას უფასოდ ეუფლებიან სსსმ და სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირები.

იმავე დღეს, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროექტის ფარგლებში, კოლეჯს რუსთავის №4, №14 და გარდაბნის №1 საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები ეწვივნენ. ვიზიტის ფარგლებში, მოსწავლეები ადგილზე გაეცნენ პროგრამებს, რომლებსაც კოლეჯი დაინტერესებულ პირებს სთავაზობს, მოსინჯეს კონკრეტული სპეციალობები და პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შეხვდნენ.

მიმდინარე სასწავლო წელს, „მოდუსში“, მსურველები შემდეგ მოთხოვნად პროფესიებში გადამზადდებიან: სავალი ნაწილის ტექნიკოსი, ძრავის შემკეთებელი, მეთუნუქე-მღებავი, ნივთიერებებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტი, მდნობელი, მეღუმელე, შემდუღებელი, მღებავი, დურგალი, ზეინკალ-სანტექნიკოსი, ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკოს-შემკეთებელი, ელექტროამძრავისა და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატი, ინფორმაციული ტექნოლოგი, ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი), ბუღალტერი, მასაჟისტი.

სპორტი

ლიგამ ფეხბურთიც მოილია

საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნულმა ფედერაციამ კიდევ ერთი დიდი ტურნირი მიითვალა აქტივში – დასრულდა სასკოლო ლიგის გათამაშება ფეხბურთში, რომელმაც სტარტი შარშან, მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში აიღო და მთელი სეზონის განმავლობაში მიმდინარეობდა. მასში 80-მდე საჯარო სკოლის 2000-2001 წლებში დაბადებული 800-მდე მოსწავლე მონაწილეობდა.

ფინალური პაექრობა ყოფილი ფიზკულტურის ინსტიტუტის ტერიტორიაზე მდებარე ხელოვნურსაფარიან მოედანზე ჩატარდა, ერთმანეთს დედაქალაქის 173-ე და 120-ე საჯარო სკოლების გუნდები შეხვდნენ. პაექრობა ძალზე დაძაბული და, რაც მთავარია, საინტერესო გამოდგა. 3:2 გაიმარჯვა 120-ე სკოლამ (დირექტორი – **მარინა წერეთელი**, სპორტის პედაგოგი – **მევლუდ ლაშაური**) და მთავარი თასიც დაისაკუთრა. მეორე ადგილზე 173-ე სკოლა (დირექტორი – **შორენა ბუნტური**, პედაგოგი – **დავით მენაბდიშვილი**) გავიდა, მესამეზე – 149-ე სკოლის გუნდი (დირექტორი – **მაგული ღვინჯილია**, პედაგოგი – **გია გუზიტაშვილი**).

ეს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის მიერ ჩატარებული მორიგი ტურნირია – მანამდე დასრულდა ასპარეზობები კალათბურთში, ხელბურთში, ფრენბურთში (სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში), ბადმინტონში და სპორტის სხვადასხვა ინდივიდუალურ სახეობებში. მისასალმებელია, რომ ახალშექმნილ ფედერაციას ამ კეთილშობილურ საქმეში მხარში ამოუდგნენ საჯარო სკოლების დირექტორები, სპორტის ცალკეული სახეობების ეროვნული ფედერაციები, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, ცალკეული ბიზნესმენები... რომ არა მათი დახმარება და, უპირველესად – მოქალაქეობრივი თვითშეგნება, გასიგრძეგანება იმისა, რაოდენ მნიშვნელოვანია სპორტში ახალგაზრდების მასობრივად ჩაბმა, მოსწავლეებში სპორტის პროპაგანდა, უფულო ფედერაცია ამ კეთილ საქმეს ვერ შეასრულებდა. ძალიან ბევრმა ფედერაციამ (კალათბურთის, ხელბურთის, ფუტზალის) დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ მათ სახეობებში სასკოლო ლიგის გათამაშება მაღალორგანიზებულად და გამართულად ჩატარებულიყო. მაგალითად, ისინი ორგანიზატორ ფედერაციას დაეხმარნენ მსაჯებით, ინვენტარით, ტაბლოებით თუ სხვა სახის ტექნიკური ინფრასტრუქტურით.

ვფიქრობთ, ამ ყველაფრით მართლაც კარგი საქმე გაკეთდა, გაისად კი ეს ყველაფერი კიდევ უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს.

ერთი ნაბიჯი ფინალამდე

საქართველოს 19-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრებს ერთი ნაბიჯი დააკლდა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლამდე. არადა, **ვასილ მაისურაძის** შეგირდებმა ტურნირი ჩინებულად, ორი თამაშიდან ორი მოგებით, დაიწყეს და ბოლო შეხვედრაში ფრეც ჰყოფნიდათ. ელიტრაუნდის თამაშებს შვეიცარიამ უმასპინძლა და პირველ შეხვედრაში ჩვენებმა სწორედ მასპინძლებს აჯობეს – 2:0. გოლები **დავით დარციმელიამ** და **გიორგი პაპუნაშვილმა** გაიტანეს. მეორე მატჩში ჩვენებმა უკვე კვიპროსისგან არ დატოვეს ქვა ქვაზე – 5:1 დაამარცხეს. ანგარიში მე-15 წუთზე **მათე ცინცაძემ** სტანდარტულით გახსნა, რომელიც დარციმელიას წაქცევისთვის დაინიშნა, ოთხ წუთში კი **ლუკა კიკაბიძემ** მეორე გოლი გაიტანა. 30-ე წუთზე **ლუკა ზარანდიამ** ანგარიში 3:0 გახადა, ხოლო პირველი ტაიმის დამატებულ წუთზე მანვე მეოთხედაც შეაგდო. თამაშის განახლებიდან ხუთ წუთში ისევ კიკაბიძემ დუბლი შეასრულა – 5:0. ეს ანგარიში თამაშის ბოლომდე უცვლელი რჩებოდა, როცა დამატებულ წუთებზე კუნძულელებმა პენალტით პრესტიჟის გოლი გაიტანეს – 5:1 ქართველთა სასარგებლოდ. ამ თამაშის შემდეგ იყო, კვიპროსული მედია რომ წერდა, ქართველები წინ მიდიან, ჩვენ კი ერთ ადგილს ვტკეპნითო.

ბოლო, ფინალის დარ შეხვედრაში, ჩვენები ისრაელს ხვდებოდნენ, რომელსაც ასევე ორი მოგება ჰქონდა, თუმცა ბურთების უკეთესი სხვაობით წინ ჩვენები იყვნენ. ამიტომ ფინალურ ეტაპზე გასასვლელად ფრეც გვყოფნიდა. ამის მიუხედავად, მაისურაძე მოგებას გეგმავდა და მთელი შეხვედრის განმავლობაში მისი შეგირდები უტევდნენ კიდეც, ტერიტორიულ-სათამაშო უპირატესობასაც ფლობდნენ და ინიციატივაც ხელთ ეპყრათ, თუმცა 69-ე წუთზე დაცვაში დაშვებული იშვიათი შეცდომის გამო გოლი საკუთარ კარში მიიღეს, ჩამორჩენის აღმოფხვრა კი ვერ შეძლეს. ამდენად, ჩვენები 0:1 დამარცხდნენ, ფინალის საგზური კი ისრაელმა მიიღო. ნუგეშად ისღა დაგვრჩა, რომ ამ ტურნირზე კიდევ ერთხელ გაიბრწყინეს ჩვენმა ახალგაზრდა ფეხბურთელებმა და მათით ევროპული გრანდები დაინტერესდნენ. მაგალითად, **ილია კერძევაძე** უკვე იტალიურ „იუვენტუსშია“ გასინჯვაზე და საკონტროლო შეხვედრაში ჰეთ-თრიქიც შეასრულა! ლუკა ზარანდიას **მერაბ ჟორდანია** კვიპროსულ „ანორთოსისში“ ეპატიჟება, **ჯიმი ტაბიძე** სინჯებზე უკვე იმყოფებოდა „ლივერპულსა“ და მადრიდის „რეალში“, სადაც დარჩენაში ხელი, ძირითადად, არაევროპელობამ შეუშალა. ახლა მის მსურველთა რიგებს წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი, მადრიდული „ატლეტიკოც“ დაემატა. თევზაძეს ინგლისური, ფრანგული, ესპანური და ბელგიური კლუბები აკვირდებიან, კონკრეტულად კი ცნობილია ისევ „ლივერპული“ და მადრიდული „ატლეტიკო“. შეთავაზებები აქვთ სხვა ფეხბურთელებსაც.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

წიგნის თარო

მიმდინარეობს ხელმოწერა

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. საქანელა - ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი
6.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ქვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. ძველი რომი
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. რეპტილიები და დინოზავრები
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
16. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი
3 ლარი

ქართველი მწერლები

❖ ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული)
I–VI ტომი, – 11 ლარი
❖ მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული)
I–VII ტომი – 11 ლარი
❖ ლევან გოთუა (7-ტომეული)
I–II ტომი – 16 ლარი
❖ ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული)
I–II ტომი – 15 ლარი
❖ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული),
I, II, III, VI, VII, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი,
IV–V ტომი –18 ლარი
❖ რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული)
I, II, IV, V, VI ტომი – 12 ლარი
❖ ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული)
I–VII ტომი –12 ლარი
❖ გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული),
I–V ტომი – 12 ლარი
❖ ოტია იოსელიანი (10-ტომეული)
I–X ტომი – 12 ლარი
❖ თამაზ ჭილაძე (6-ტომეული)
I–VI ტომი – 10 ლარი
❖ გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული)
I, III, IV, V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. იაკობ ხუცესი
12. იოანე საბანისძე
13. დავით გურამიშვილი
14. ბესიკი
15. რევაზ ინანიშვილი
16. ალექსანდრე ჭავჭავაძე
17. თეიმურაზ I
18. ვახტანგ VI
19. გიორგი მერჩულე
20. გრიგოლ ორბელიანი
21. დავით ალმასშენებელი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 599880073. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

წიგნის თარო

მიმდინარეობს ხელმოწერა

- აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი** ახალი
- ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე** ახალი
- ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
- რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა**
- ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტეზუმას ასული**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

ითითო ფოთის ფასი – 12 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან

ინტელექტი სკოლას

ფასი – 15 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
ფასი – 4 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
ფასი – 10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
ფასი – 10 ლარი

„გამოცდილება“

ქიმია
საატესტატო-საგამოცდო საკითხები და ტესტები
ლ. თევზაძე
ფასი – 3 ლარი

ქიმია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
ფასი – 6 ლარი

ქიმია
დამხმარე სახელმძღვანელო უფროსკლასელებისა და აბიტურიენტებისათვის
ჟ. პეტრიაშვილი, ნ. მაისურაძე
ფასი – 4 ლარი

ბიოლოგია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე, დ. ბარამიძე, ქ. მაღრაძე, ნ. სიხარულიძე, მ. ბაგალიშვილი
ფასი – 4 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია
ფასი – 6 ლარი

გეოგრაფია
საატესტატო გამოცდისთვის
გ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი – 6 ლარი

ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ახმეტელი, ნ. მურღულია
ფასი – 6 ლარი

ისტორია
ეროვნული გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ახმეტელი, ნ. მურღულია
ფასი – 9 ლარი

მათემატიკა
ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი – 5 ლარი

ითითო ფოთის ფასი – 9 ლარი

რა არის რა

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამოგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები და ცათამბრჯენები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი

ფენომენები

- ❖ ფიზიკა
- ❖ ჩაძირული ქალაქები
- ❖ ქიმია
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა



ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >